პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ოთხშაბათი, 21 აპრილი 1937 წ. № 91 (4892)

დღეს გაზეთში:
— მსუბუქი მრეწველობის სამარცხვინო ჩამორჩენა (მეთაური)
— საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში
— 15 აპრილისათვის საბჭოთა კავშირში დათესილია 19.711 ათასი ჰექტ.
— ლ. თიკანაძე. მსუბუქი მრეწველობა პირველ კვარტალში (ფელეტონი)
— ადამ მიცკევიჩი. ფარისი (პოემა)
— ტარას შევჩენკო. მარკევიჩს (ლექსი)
— მფრინავი გოლოვინი მიფრინდა რუდოლფის კუნძულზე.
უცხოეთში:
— გვადალახართან იტალიელთა დამარცხების შემდეგ.
— საპარლამენტო არჩევნების წინ იაპონიაში.

მსუბუქი მრეწველობის სამარცხვინო ჩამორჩენა

საბჭოთა საქართველოს მსუბუქი მრეწველობა მთლიანად პირველსა და მეორე ხუთწლედში შეიქმნა. უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში მისი პროდუქცია ათი მილიონ მანეთიდან 120 მილიონამდე გაიზარდა. შეიქმნა ახალი წარმოებები — აბრეშუმის, საფეიქრო, სამკერვალო, ფეხსაცმლის და სხვ. ის იძლევა — 5 მილიონ მეტრ აბრეშუმის ქსოვილებს, 1,7 მილიონ მეტრ შალის ნაქსოვებს, 4,5 მილიონ წყვილ ფეხსაცმელს და ფართო მოხმარების სხვა საგნებს.

მიუხედავად ასეთი წარმატებისა, საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ახლანდელი მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი. ის ჩამორჩენილთა რიგებშია და ცუდად ასრულებს მასზე დავალებულ ამოცანებს როგორც რაოდენობრივი ზრდის, ისე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მხრივ.

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გასული წლის აგვისტოს პლენუმმა ამხილა მთელი რიგი სერიოზული დეფექტები მსუბუქი მრეწველობის მუშაობაში და კონკრეტული ღონისძიებები დასახა მათ გამოსასწორებლად. მაგრამ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელმა მუშაკებმა და საწარმოთა დირექტორებმა არ მიიღეს ენერგიული ზომები ც. კ-ის პლენუმის დადგენილებათა განხორციელებისათვის. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას ის სამარცხვინო გარღვევა, რასაც ადგილი აქვს მსუბუქ მრეწველობაში მიმდინარე წლის პირველ კვარტალში.

პროდუქციის გამოშვების გეგმა პირველ კვარტალში მხოლოდ 90 პროცენტით შესრულდა. სამი მილიონი მანეთის ფართო მოხმარების პროდუქცია დააკლო მსუბუქმა მრეწველობამ პირველ კვარტალში მომხმარებლებს. მთელ რიგ საწარმოებში (ტრიკოტაჟის, მახარაძის აბრეშუმის საგრეხი, თბილისის ფეხსაცმლის, ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის, ქეჩის და სხვ.) გეგმის შესრულება 65-80 პროცენტს შეადგენს. იმის ნაცვლად, რომ მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატს ნამდვილად გამოერკვია ამ ჩამორჩენის მიზეზები, საკონიუნქტურო თათბირზე მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელმა მუშაკებმა ეს ჩამორჩენა ახსნეს... ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხებით. შემოწმებამ კი ცხადჰყო, რომ ასეთი მტკიცება სრულიად მოკლებულია საფუძველს. გამოირკვა, რომ გარღვევები ობიექტური მიზეზებიდან როდი გამომდინარეობენ.

ეს ფაქტი მოწმობს, მსუბუქი მრეწველობის მუშაკები, იმის ნაცვლად, რომ ნამდვილად ღრმად შეისწავლონ ჩამორჩენის მიზეზები და ჩამორჩენის გამოსწორებისათვის ბოლშევიკური ბრძოლა გაშალონ, უნაყოფოდ ეძებენ თავისი ცუდი მუშაობის გასამართლებელ „ობიექტურ“ მიზეზებს. თავისმართლების ასეთი „მეთოდი“ არაფრად ვარგა, ეს ხელს უშლის გამომჟღავნდეს და მოისპოს მსუბუქი მრეწველობის მუშაობის სერიოზული დეფექტები, როგორც მაგალითად, მოწყობილობის დიდი გაცდენები ტრიკოტაჟის, აბრეშუმის, ფეხსაცმლის ფაბრიკებში, რაც 10-33 პროცენტს შეადგენს, ან ხშირი ავარიები. მაგალითად, თელავის, მახარაძის და სამტრედიის აბრეშუმის ფაბრიკის სადიზელო სადგურებში.

პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას საერთოდ და, კერძოდ, მსუბუქ მრეწველობაში, რომელიც ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს მაღალი ხარისხის პროდუქცია. იმის ნაცვლად, რომ იბრძოლოს ცუდი პროდუქციის გამოშვების აღმოსაფხვრელად, მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატი წინასწარ „გეგმავს“ წუნდებული პროდუქციის გამოშვებას! რა არის ეს, თუ არა სიბეცე და უთავბოლობა? ბიუროკრატებს მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატიდან საფუძვლიანად დავიწყებიათ ის ამბავი, რომ წუნდებული პროდუქციის დაგეგმვა უკვე გასული წლიდან დაგმობილია მთელ საბჭოთა კავშირში. მეტიც. მსუბუქი მრეწველობის ხელმძღვანელები გეგმავენ წუნის პროცენტის ისეთ რაოდენობას, რომელიც ფაქტიურად უკვე მიღწეულთან შედარებით კი არ ამცირებს, პირიქით ადიდებს წუნს.

ასეთი „გეგმები“, რომელნიც უკან ახევინებს წარმოებებს, უნდა დაგმობილ იქნას და შეფასდეს, როგორც ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება.

აბრეშუმის მრეწველობის სამმართველომ (უფროსი ამხ. ვ. მანჯგალაძე) მისცა აბრეშუმის მაფის ამომღებ ფაბრიკებს სატისაქო კლასების გრეჟის 58 პროც. ამოღების გეგმა, ფაქტიურად კი მთელ რიგ ფაბრიკებში მიღწეულია 70 პროცენტზე მეტი. მთელ რიგ საწარმოებში (თბილისის მაუდის ფაბრიკა, ტრიკოტაჟის ფაბრიკა და სხვ.) პროდუქციის ხარისხი გასულ პერიოდთან შედარებით გაუარესდა. ხშირად ირღვევა დამტკიცებული ასორტიმენტი და ადგილი აქვს ამ დარგში თავაშვებულობას, თვითნებობას როგორც სახალხო კომისარიატში, ისე საწარმოებში.

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშაკებისათვის რატომღაც დღემდე გაუგებარია ის ელემენტარული დებულება, რომ გეგმა შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ რაოდენობრივ მაჩვენებლებთან ერთად შესრულებული არ არის ხარისხობრივი მაჩვენებლებიც, როგორიცაა პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, ასორტიმენტი. ამიტომაც, არის შემთხვევები, რომ ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალი დააჯილდოვეს გეგმის შესრულებისათვის ისეთ წარმოებებში, სადაც გეგმა შესრულებულია ნაწილობრივ, ე. ი. მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლების თვალსაზრისით. ამის საილუსტრაციოდ კმარა თუნდაც თბილისის მაუდის ფაბრიკის მაგალითი. ეს მოწმობს, აშკარად ცხადჰყოფს, რომ ბრძოლა პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, — მუშაობის ამ პირველი მცნებისათვის, — მსუბუქ მრეწველობაში უსუსურია. ამის შემდეგ რა გასაკვირია. პირველ კვარტალში მსუბუქმა მრეწველობამ შრომის ნაყოფიერების გეგმა რომ ვერ შეასრულა და პროდუქციის თვითღირებულება შემცირების ნაცვლად იანვარსა და თებერვალში 2,5 პროცენტით გაზარდა!

საქართველოს მსუბუქ მრეწველობას აქვს ყველა პირობა იმისათვის, რომ მოკლე დროში აღმოფხვრას არსებული სერიოზული დეფექტები. „დამტკიცებულია, რომ ყველა ჩვენი სამეურნეო გეგმა შეკვეცილია, ვინაიდან ისინი არ ითვალისწინებენ იმ უდიდეს რეზერვებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც ჩვენი სახალხო მეურნეობის წიაღში იმალება“ (სტალინი).

მსუბუქი მრეწველობისათვის მიცემული გეგმები სავსებით რეალურია. მსუბუქ მრეწველობას მოეპოვება საგრძნობი რეზერვები ამ გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. საჭიროა მხოლოდ, რომ მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატი ზერელე, ბიუროკრატიული მეთოდებით ხელმძღვანელობიდან გადავიდეს კონკრეტულ, ოპერატიულ ხელმძღვანელობაზე, ფართოდ გაშალოს კრიტიკა და თვითკრიტიკა, დაუნდობლად გამოამჟღავნოს შეცდომები, გამოასწოროს ისინი, ხელი მოჰკიდოს კადრების აღზრდას, ფართო შარა-გზა მისცეს სტახანოვურ მოძრაობას, მტკიცედ დააყენოს შესრულების შემოწმება, გასწმინდოს აპარატი ბიუროკრატულ, უვარგის და უცხო ელემენტებისაგან, გაშალოს ნამდვილად ბოლშევიკური ბრძოლა პარტიისა და ხელისუფლების დირექტივების განხორციელებისათვის, — იმ სერიოზული ამოცანებისათვის, რომლებიც მსუბუქი მრეწველობის მუშაკების წინაშე დგას.

საესტაფეტო მატარებელი ბათუმში

ბათუმი, 20 აპრილი (ელვა). (საქდესი). ამიერკავკასიის რკინიგზის ინჟინრებისა და ტექნიკოსების ნავთჩასასხმელი საესტაფეტო მატარებელი, რომელიც 19 აპრილს, 11 საათსა და 58 წუთზე გამოვიდა ბაქოდან ბათუმისაკენ, მოვიდა ბათუმში 16 საათსა და 48 წუთზე — 6 საათითა და 20 წუთით უფრო ადრე, ვიდრე განრიგებით იყო გათვალისწინებული.

მატარებელი დაბრუნდა უკან ბაქოსაკენ 19 საათსა და 40 წუთზე — 7 საათითა და 33 წუთით უფრო ადრე, ვიდრე განრიგებით იყო გათვალისწინებული.

მოსკოვი

(20 აპრილი, ტელეფონით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

დღეს ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოში ჩვენს კორესპონდენტს აცნობეს შემდეგი: „მფრინავ გოლოვინის ეკიპაჟის გმირული გადაფრენა საბჭოთა ავიაციის დიდ გამარჯვებას წარმოადგენს“.

შარშან რუდოლფის კუნძულზე გაფრინდა საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავი ვოდოპიანოვი, მაგრამ ეს გზა მან დაჰფარა მსუბუქი მანქანით, რომელსაც ფართო დასაშვები მოედნები არ ესაჭიროებოდა.

მფრინავი გოლოვინი გაფრინდა მძიმე ორმოტორიანი მანქანით, რომლისთვისაც საჭირო შეიქნა სპეციალურად მოწყობილი აეროდრომები.

გოლოვინის მთელი გადაფრენა განსაკუთრებულ მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა. არქტიკაში არაჩვეულებრივად ნაადრევმა გაზაფხულმა გადაფრენას მნიშვნელოვანი სიძნელეები შეუქმნა. ამას დაემატა ნისლი და ქარიშხლები, მაგრამ საბჭოთა მამაცი მფრინავების გმირობამ გადალახა ყველა ეს დაბრკოლება.

გადაფრენის დროს მფრინავმა გოლოვინმა გამოიჩინა განსაკუთრებული ოსტატობა. გადაფრენის წარმატება უზრუნველჰყო აგრეთვე ყველა მექანიზმის საუცხოო მუშაობამ.

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველო სთვლის, რომ მოსკოვ-რუდოლფის კუნძულის ტრასა ახლა უკვე ათვისებულია.

მთავარი სამმართველო მხურვალედ ულოცავს გამარჯვებას გოლოვინის თვითმფრინავის სახელოვან ეკიპაჟს.

მდგომარეობა ესპანეთში

გვადალახართან იტალიელთა დამარცხების შემდეგ

პარიზი, 19 აპრილი (საქდესი). გვადალახართან იტალიის საექსპედიციო კორპუსის სამარცხვინო დამარცხებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იტალიის მოსახლეობის ყველა ფენაზე. კერძოდ, არმიაში გამეფებულია დიდი უკმაყოფილება იმ დახმარების გამო, რასაც იტალია გენერალ ფრანკოს უწევს. ამ უკმაყოფილების დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სამართალში მისცეს 250 იტალიელი ოფიცერი, რომელთა პროცესიც ამჟამად მიმდინარეობს რომში. ყველა ისინი მიცემული არიან სამართალში იმისათვის, რომ გადაჭრით განაცხადეს უარი ესპანეთს გამგზავრებაზე. სამმა ოფიცერმა გასამართლებამდე თავი მოიკლა საპატიმროში.

იტალიის მთავრობა, რომელიც გვადალახართან დამარცხების გამო გააფთრებულია. ახლა ჯავრს იყრის იმ მხედართმთავრებზე, ვინც უშუალოდ სარდლობდნენ იტალიის ჯარებს გვადალახართან. გვადალახარში დამარცხებასთან დაკავშირებით, რომს გაიწვიეს და დააპატიმრეს ფაშისტური მილიციის ყოფილი უფროსი, შავხალათიანი დივიზიის მეთაური აბისინიაში ტერუცი, რომელიც უკანასკნელ დროს ესპანეთში იმყოფებოდა. ამავე მიზეზით იტალიაში გაიწვიეს აგრეთვე გენერალი ბერგონცოლი, მაგრამ ამ უკანასკნელმა იტალიაში ჩასვლისთანავე თავი მოიკლა.

ის გამოსვლები, რასაც ადგილი აქვს არმიაში, წარმოადგენს სახელმწიფოში მზარდი ანტიფაშისტური მოძრაობის მხოლოდ ნაწილს.

ამას წინათ სესტრი პონენტეში, გენუის მახლობლად, მოხდა მუშათა დიდი გამოსვლები. პოლიციამ მოჰკლა სამი მუშა და დააპატიმრა რამდენიმე ასი კაცი. მთელ რიგ პუნქტებში ხდებოდა გლეხთა რევოლუციური გამოსვლები. ასეთსავე გამოსვლებს ადგილი ჰქონდა სიცილიასა და სარდინიაში. სარდინიის კუნძულზე, ქალაქ კალიასში გლეხებმა ცეცხლი წაუკიდეს ფაშისტური პარტიის კომიტეტის შენობას. ყოველივე ეს მოწმობს ანტიფაშისტური მოძრაობის სერიოზულ გაქანებას სახელმწიფოში.

ბარსელონის ნავსადგურის ახალი ბომბარდირება

პარიზი, 19 აპრილი (საქდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ მეამბოხეთა ორმა გამანადგურებელმა ყუმბარები დაუშინა ბარსელონის ნავსადგურს. მოკლულია 3 და დაჭრილია რამდენიმე კაცი.

საჰაერო იერიშის შესახებ სირენებით გაფრთხილებულმა მოსახლეობამ დიდი სიმტკიცე და სიმამაცე გამოიჩინა. მეამბოხეთა გამანადგურებლების შესახვედრად აფრინდნენ რესპუბლიკელთა თვითმფრინავები და აიძულეს ისინი უკან გაბრუნებულიყვნენ. ამ ახალმა ბომბარდირებამ ქალაქში დიდი აღშფოთება გამოიწვია.

ინგლისელ დეპუტატ-ქალთა დელეგაცია მადრიდში

პარიზი, 18 აპრილი (საქდესი). ინგლისის პარლამენტის დეპუტატ-ქალთა დელეგაციამ, რომელიც ჰერცოგინია ეტოლის მეთაურობით მადრიდში იმყოფება, გუშინ ინახულა ფრონტი საუნივერსიტეტო უბანში.

დელეგაცია კვლავ მიიღო გენერალმა მიახამ.

ჟურნალისტებთან საუბრის დროს ინგლისელმა დეპუტატმა-ქალებმა დაარწმუნეს ისინი თავისი ღრმა აღფრთოვანებისა და გულწრფელი სიმპატიის გრძნობებში მადრიდის გმირი ხალხისადმი და აღუთქვეს, რომ ინგლისს დაბრუნების შემდეგ სრული სიმართლით უამბობენ ყველაფერს, რაც მათ იხილეს.

მადრიდის 17 აპრილის საარტილერიო ბომბარდირების დაწვრილებითი ცნობები

მადრიდი, 19 აპრილი (საქდესი). გამოირკვა დამატებითი ცნობები მადრიდის 17 აპრილის საარტილერიო ბომბარდირების შესახებ. მიზანში მოხვედრისა და მსხვერპლთა რიცხვის მხრივ ეს ბომბარდირება სჭარბობს ესპანეთის დედაქალაქის საარტილერიო ყველა ბომბარდირებას, რასაც კი დღემდე მიმართავდნენ. ყუმბარები დაეცა ქალაქის სხვადასხვა კუთხეში. მარტო ფრანკოს როდრიგესის ქუჩაზე გასკდა 20-ზე მეტი ყუმბარა. ერთი ყუმბარა გასკდა სასტუმროს ოთახში, სადაც ყუმბარის გასკდომამდე 5 წუთით ადრე იმყოფებოდა ინგლისის დეპუტატ ქალთა დელეგაცია, რომელიც მადრიდში ჩამოვიდა. მეორე ყუმბარა გასკდა კინოს სალაროსთან გამართულ რიგში. რიგში მდგომთაგან მოკლულია 8 კაცი და დაჭრილია 32 კაცი.

დაინგრა მრავალი სახლი. არასრული ცნობებით, მოკლულია 14 და დაჭრილია 89 კაცი.

ინგლისური გემი „ტორპოლი“ ჩავიდა მუსელს

ლონდონი, 19 აპრილი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისური გემი „ტორპოლი“ 17 აპრილს დილით ადრე ბილბაოდან ჩავიდა ნავსადგურ მუსელს, ხიხონის ახლოს. სააგენტოს ცნობით, „ტორპოლს“ 3 საესკადრო ნაღმოსანი ახლდა. ბასკთა რადიოს ცნობის თანახმად, გემს ახლდნენ ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობის საესკადრო ნაღმოსნები.

საპარლამენტო არჩევნების წინ იაპონიაში

ჩაიშალა მთავრობის ცდა ახალი პარტიის შექმნისათვის

ტოკიო, 19 აპრილი (საქდესი). ქვედა პალატის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა 23 აპრილს თავდება. დღეს უკვე რეგისტრირებულია 829 კანდიდატი, მათ შორის დათხოვნილი პალატის 424 დეპუტატი და 81 დეპუტატი პალატის წინა მოწვევებისა.

საარჩევნო კამპანია უკანასკნელ ფაზაში შევიდა. ოლქებში დაიწყო ამომრჩეველთა მიტინგები.

პრესის საერთო აზრით, საარჩევნო კამპანიის პირველ ეტაპს მთავრობის აშკარა დამარცხება ახასიათებს. მთავრობა იძულებული იყო უარი ეთქვა ახალი პარტიის შექმნაზე და ამიტომ ვერ შესძლებს შესცვალოს ძალთა შეფარდება ქვედა პალატაში. მთავრობამ ვერ მოახერხა აგრეთვე შეესუსტებინა გავლენა პოლიტიკური პარტიებისა, რომელთა მასობრივი ბაზაც რამდენადმე ფართოვდება იმიტომ, რომ არა მარტო სიაკაი ტაისიუტო და მინსეიტო, არამედ სეიუკაიც კი საჭიროდ სთვლის გამოვიდნენ არჩევნებში კონსტიტუციის დაცვისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ ახალი პალატის უმეტესობა მთავრობის ოპოზიციაში იქნება. მთავრობა იძულებული გახდება გადადგეს, ვინაიდან ქვედა პალატის ხელმეორედ დათხოვნა, რასაც ამჟამად იმუქრება ჰაიასის მთავრობა, „აშკარად ეწინააღმდეგება საღ გონიერებას“.

მთავრობის წრეებში უკმაყოფილო არიან ახალი პარტიის გეგმის ჩაშლით, მაგრამ იმედს მაინც არ ჰკარგავენ. განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებენ პოლიტიკური პარტიების შინაურ შუღლზე; ამას შეუძლია ხელი შეუშალოს უნდობლობის ვოტუმის შეტანას და მაშინ კაბინეტი სასწრაფოდ ჩაატარებს პარლამენტის საგანგებო სესიას და შესძლებს ხელისუფლების სათავეში დარჩენას. რა თქმა უნდა, სამხედრო ხელისუფალთა აზრი გადამწყვეტი ფაქტორი იქნება მთავრობის პოზიციის განსაზღვრის დროს.

გაზეთების ცნობით, ღებულობენ ღონისძიებათ შინაური შუღლის გასაძლიერებლად პოლიტიკურ პარტიებში, როგორც გაზეთები სწერენ, ხირაომ, ხიროტას მთავრობის ყოფილმა განათლების მინისტრმა, რომელიც კაბინეტის გადაწყვეტილებით დიდი მეტალურგიული ტრესტის თავმჯდომარედ უნდა დაინიშნოს, უკვე აღმოუჩინა „ფულადი დახმარება“ 30 კანდიდატს, რომელნიც გამოდიან არჩევნებში და ამასთან მას კანდიდატთა პარტიულობა კი არ აინტერესებდა, არამედ არკვევდა მხოლოდ იმას, ეთანხმება თუ არა ესა თუ ის კანდიდატი მის შეხედულებებს პარლამენტის რეფორმის და არმიისა და ხალხის ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ დიდი პარტიები სავსებით უზრუნველყოფილი არიან საარჩევნო ფონდებით.

◆ ◆ ◆

მდგომარეობის გართულება განსუს პროვინციაში

შანხაი, 17 აპრილი (საქდესი). გაზეთი „სინვენბაო“ აღნიშნავს, რომ განსუს პროვინციაში მდგომარეობა გართულდა. გაზეთის სიტყვით, პროვინციული მთავრობის ძალაუფლება ვრცელდება მხოლოდ ოთხ მაზრაზე, რომლებიც მდებარეობენ ლანჩოუს (პროვინციის დედაქალაქი) მახლობლად. დანარჩენი მაზრის მთელი ადმინისტრატიული საქმეები და გადასახადების აკრეფა მოქცეულია ადგილობრივ მილიტარისტთა ხელში. პროვინციული მთავრობის მდივანმა ჩოუ ჩუნ-ჩენმა ავადმყოფობა მოიმიზეზა და ბეიპინში გაიქცა. განსუს მთავრობის ახალ თავმჯდომარედ დანიშნული ჩუ შაო-ლიანი დღემდე შანხაიში იმყოფება.

იტალია-რუმინეთის მოლაპარაკებისათვის

ვარშავა, 18 აპრილი (საქდესი). პოლონეთის დეპეშათა სააგენტო რომიდან იუწყება, რომ რუმინეთისა და იტალიის მთავრობანი აწარმოებენ მოლაპარაკებას პოლიტიკური დაახლოებისა და რუმინეთსა და იტალიას შორის მეგობრობის პაქტის დადების შესაძლებლობის შესახებ.

რუმინეთ-უნგრეთის დაახლოება და პოლონეთი

ვენა, 18 აპრილი (საქდესი). გაზეთ „ნოიეს ვინერ ტაგბლატის“ ვარშაველი კორესპონდენტის ცნობით, პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, რომ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბეკი ბუქარესტში ყოფნის დროს მხარს დაუჭერს იტალიის მთავრობის მეცადინეობას რუმინეთ-უნგრეთის დაახლოების საქმეში. პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში, კორესპონდენტის სიტყვით, ჰფიქრობენ, რომ იტალია-სამხრეთსლავიის ხელშეკრულებამ ნიადაგი შეუქმნა რუმინეთ-უნგრეთის დაახლოვებას.

საბჭოთა კავშირში

ამხანაგ სტალინის მოხსენება და საბოლოო სიტყვა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მასობრივი ტირაჟით გამოდის უცხო ენებზე

მოსკოვი, 19 აპრილი (საქდესი). უცხოელ მუშათა ამხანაგობის გამომცემლობამ სსრ კავშირში მასობრივი ტირაჟით გამოსცა ინგლისურსა და გერმანულ ენებზე ამხანაგ სტალინის მოხსენება და საბოლოო სიტყვა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე: „პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებზე და ტროცკისტ და სხვათა თვალთმაქცთა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე“.

ამ დღეებში მასობრივი ტირაჟით გამოვა ამხანაგ სტალინის მოხსენება და საბოლოო სიტყვა ჩინურ, პოლონურ, ბულგარულ და სხვა ენებზე.

გოლოვინი მიფრინდა რუდოლფის კუნძულზე

დამთავრდა ძნელი არქტიკული გადაფრენა

ელვა მოსკოვი — „პრავდას“.

რუდოლფის კუნძული. (ფრანც იოსების მიწა). 19 აპრილი (რადიო). დღეს, 17 საათსა და 05 წუთზე ჩვენი თვითმფრინავი დაეშვა რუდოლფის კუნძულის აეროდრომზე. დამთავრდა მოსკოვში დაწყებული გადაფრენა. გადაფრენის უკანასკნელი ეტაპი სავსებით ნორმალურად მიმდინარეობდა. ჩვენ გავფრინდით სურვილის კონცხიდან 13 საათსა და 35 წუთზე და ავიღეთ კურსი პირდაპირ რუდოლფის კუნძულისაკენ. სტარტისთანავე ავფრინდით 1.400 მეტრის სიმაღლეზე. თავდაპირველად შეგვხვდა ძლიერი ქარი, რომელიც შემდეგ ჩადგა. მალე დავინახეთ ზღვის ზედაპირი. იგი დაფარული იყო ყინულის მთლიანი მინდვრებით. მივფრინავდით თავისებური საჰაერო კორიდორით. მარცხნივ და მარჯვნივ ღრუბლები, შუაში მოწმენდილი. ფრენის საშუალო სისწრაფე ამ ეტაპზე 170 კილომეტრს უდრიდა საათში. რუდოლფის კუნძულზე ჩვენ განსაკუთრებული გულთბილობითა და სიხარულით მიგვიღეს. ბედნიერი ვართ 82 პარალელიდან მივესალმოთ „პრავდის“ მკითხველთ. ყველანი კარგად ვართ.

მფრინავი პ. გოლოვინი.

კლასობრივ მტერთა ხელით დაიღუპა წარჩინებული სტახანოველი ქალი ბამბის ოსტატი — ხარამან ასლან ყიზი

ბაქო, 19 აპრილი (საქდესი). კიროვაბადში 11 აპრილს ღამით კლასობრივ მტერთა ხელით დაიღუპა ბაგიროვის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებული სტახანოველი-ქალი ბამბის ოსტატი — ხარამან ასლან ყიზი. მისი ქალიშვილი სალთანატი დაჭრილია.

ხარამან ასლან ყიზი ერთერთი საუკეთესოა კიროვაბადის რგოლის ხელმძღვანელებში. შარშან მან გამოიმუშავა 500 შრომადღე. დაღუპვამდე ხუთი დღით ადრე ხარამანი ჩაება შეჯიბრებაში ორდენოსან ბასტა ბაგიროვასთან.

კოლმეურნეობის ყველა ბრიგადაში შესდგა მიტინგები, რომლებზეც კოლმეურნე-ქალები და კოლმეურნენი უმაღლეს სასჯელს მოითხოვდნენ მკვლელების მიმართ. წარჩინებული კოლმეურნე-ქალის დასაფლავებაში მონაწილეობა მიიღო ორი ათასზე მეტმა კოლმეურნემ და კიროვაბადის საწარმოთა სტახანოველებმა.

გამოძიებას აწარმოებს რაიონის პროკურორი. საზიზღარი მკვლელობის სამი მონაწილე დაკავებულია.

რაფაელ ალბერტი და მარია-ტერესა ლეონი საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ

მადრიდი, 19 აპრილი (საქდესი). ამჟამად მადრიდში მყოფმა რაფაელ ალბერტიმ და მარია-ტერესა ლეონმა გაერთიანებული სოციალისტური ახალგაზრდობის ორგანოს „აორას“ მისცეს ინტერვიუ, რომელშიც გაუზიარეს მკითხველს შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ. აღნიშნეს რა უდიდესი ინტერესი, რასაც საბჭოთა მშრომელნი ესპანეთის ამბებისადმი იჩენენ, ესპანელმა მწერლებმა უამბეს, რომ ყოველ სახლში, სადაც ისინი შედიოდნენ, ნახულობდნენ ესპანეთის რუკასა და ქალაქ მადრიდის გეგმას. რაფაელ ალბერტიმ და მარია-ტერესა ლეონმა გაუზიარეს მკითხველებს აგრეთვე თავიანთი შთაბეჭდილებანი საბჭოთა მუშებთან შეხვედრის შესახებ ქარხნებში, უამბეს მათ ტელმანის სახელობის ფაბრიკის პიონერებისა და იმ წერილების შესახებ, რომელნიც მიიღეს როგორც მრავალრიცხოვან დაწესებულებათა, ისე საბჭოთა მოქალაქეებისაგან.

გაზეთის თანამშრომლის კითხვაზე ამხანაგ სტალინთან მიღების შესახებ მათ უპასუხეს: „ჩვენი საუბარი ამხანაგ სტალინთან იყო ესპანეთისადმი იმ სიმპატიისა და სიყვარულის უმაღლესი გამოხატულება, რომელთა შესახებაც ჩვენ წინათ ვილაპარაკეთ. ამხანაგი სტალინი მეგობრულად გვესაუბრა ორ საათზე მეტ ხანს, მან გამოიჩინა ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარ ურთულეს პრობლემათა ღრმა ცოდნა. სტალინს, რომელიც ჩვენ გვესაუბრებოდა უბრალოდ. მამობრივად, განსაკუთრებით აინტერესებდა ჩვენი ქვეყნის გლეხები, ჩვენი ინტელიგენცია, ჩვენი სახალხო არმიის მეთაურები. ალტაცებულმა ესპანეთის ახალგაზრდობით სტალინმა სთქვა: „მე ღრმა რწმენა მაქვს ესპანეთის ახალგაზრდობისა“.

„ამხანაგ სტალინთან გატარებული ორი საათი, — აღნიშნეს მწერლებმა, — დარჩება ჩვენს მეხსიერებაში, როგორც უმაღლესი და ფრიად მკაფიო გამოხატულება იმ გრძნობებისა, რომელთაც საბჭოთა კავშირი იჩენს ესპანეთისადმი“.

15 აპრილისათვის დათესილია 19.711 ათასი ჰექტარი

სსრ კავშირის მიწსახკომის, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის და კვებმრეწველობის სახალხო კომისარიატის ნაკრები ცნობები საგაზაფხულო კულტურების თესვის შესახებ 1937 წლის 15 აპრილისათვის.

(ათას ჰექტარობით)

რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები	სულ დათესილია		მათ შორის დათესილია				მათ შორის იმ საბჭოთა მეურ. მიერ რომლებიც ეკუთვნის		
	ათასობით ჰექტ.	გეგმის %%	კოლმეურნეობების მიერ	მათ შორის იმ კოლმეურნეობების მიერ, რომლებსაც მომსახურებას უწევენ მტს-ები	ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ	საბჭოთა მეურნეობ. მიერ	საბჭოთა მეურნეობების სახ. კომისარიატს	სსრ კავშირის მიწათმოქ. სახ. კომისარიატს	კვების მრეწველობის სახ. კომისარიატს
რსფსრ	8.665	18	7.666	7.258	4	995	668	87	124
უკრაინის სსრ	7.997	55	7.202	6.778	3	792	467	59	169
ბელორუსიის სსრ	243	10	235	179	5	3	1	1	—
აზერბეიჯანის სსრ	118	26	102	45	5	11	5	4	—
საქართველოს სსრ	187	25	150	76	32	5	—	1	—
სომხეთის სსრ	87	28	80	37	5	2	—	1	1
თურქმენიის სსრ	199	71	193	192	1	5	3	2	—
უზბეკთა სსრ	927	49	851	775	7	69	25	35	—
ტაჯიკთა სსრ	272	47	261	114	2	9	3	6	—
ყაზახთა სსრ	665	12	615	394	2	48	33	11	4
ყირგიზთა სსრ	351	43	318	154	4	29	15	8	6
რსფსრ-ის მხარეები, ოლქები და ავტონომიური რესპუბლიკები									
აზოვ-შავი ზღვის მხარე	3.202	59	2.725	2.619	—	477	305	88	52
შორეულ-აღმოსავლეთის მხარე	32	4	31	28	—	1	—	—	1
დასავლეთ ციმბირის მხარე	—	—	—	—	—	—	—	—	—
კრასნოიარსკის მხარე	—	—	—	—	—	—	—	—	—
ორჯონიკიძის მხარე	902	56	790	742	—	112	87	9	7
ვორონეჟის ოლქი	964	24	877	875	—	87	56	9	22
აღმოსავლეთ ციმბირის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
გორკის ოლქი	10	1	107	7	—	—	—	—	—
დასავლეთის ოლქი	188	6	187	88	—	1	—	1	—
ივანოვოს ოლქი	9	1	9	4	—	—	—	—	—
კალინინის ოლქი	27	2	27	21	—	—	—	—	—
კიროვის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
კუიბიშევის ოლქი	56	1	51	45	—	5	2	3	—
კურსკის ოლქი	650	24	621	621	—	29	5	—	24
ლენინგრადის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
მოსკოვის ოლქი	196	6	187	112	—	9	1	2	6
ომსკის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
ორენბურგის ოლქი	33	1	31	31	—	2	2	—	—
სარატოვის ოლქი	241	9	205	205	—	36	29	5	2
სვერდლოვის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
ჩრდილოეთის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
სტალინგრადის ოლქი	1.511	49	1.384	1.382	—	127	122	—	5
ჩელიაბინსკის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
იაროსლავის ოლქი	7	1	7	5	—	—	—	—	—
თათართა ასსრ	28	1	28	16	—	—	—	—	—
ბაშკირეთის ასსრ	8	0,3	8	7	—	—	—	—	—
დაღესტნის ასსრ	74	26	60	47	4	10	9	1	—
ბურიატ-მონღოლეთის ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—
ყაბარდო-ბალკარეთის ასსრ	65	32	58	48	—	7	3	4	—
ყალმუხთა ასსრ	67	43	53	46	—	14	11	3	—
კარელიის ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—
კომის ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—
ყირიმის ასსრ	187	48	126	125	—	61	23	11	4
მარიისკის ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—
მორდოვის ასსრ	14	2	14	14	—	—	—	—	—
ვოლგის მხარის გერმანელთა ასსრ	196	19	184	184	—	12	11	—	—
ჩრდილო-ოსეთის ასსრ	10	10	9	9	—	1	—	—	—
უდმურტთა ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—
საჩინო-ინგუშეთის ასსრ	34	18	30	22	—	4	2	1	1
ჩუვაშეთის ასსრ	9	2	9	5	—	—	—	—	—
იაკუტიის ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—
უკრაინის სს რესპუბლიკის ოლქები და ავტ. რესპუბლიკები									
ვინიცის ოლქი	1.064	59	1.038	977	1	25	1	—	24
დნეპროპეტროვსკის ოლქი	1.409	57	1.289	1.273	1	119	97	11	11
დონეცის ოლქი	1.135	63	868	860	—	272	152	2	8
კიევის ოლქი	1.132	50	1.081	967	1	50	5	4	41
ოდესის ოლქი	1.182	56	1.006	990	—	176	144	15	17
ხარკოვის ოლქი	1.546	61	1.408	1.285	—	138	66	8	64
ჩერნიგოვის ოლქი	387	23	378	296	—	9	2	2	5
მოლდავეთის ასსრ	142	49	139	130	—	3	—	—	3
ყაზახთა სსრ-ის ოლქები									
აქტიუბინსკის ოლქი	45	—	45	20	—	—	—	—	—
ალმა-ატის ოლქი	104	—	97	48	—	7	3	4	—
აღმოსავლეთ ყაზახსტანის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
დასავლეთ ყაზახსტანის ოლქი	178	—	168	68	1	9	9	—	—
ყარაგანდის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
კუსტანაის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
ჩრდილო ყაზახსტანის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
სამხრეთ ყაზახსტანის ოლქი	338	—	305	268	1	32	21	7	3
უზბეკთა სსრ ავტონომიური რესპუბლიკა									
ყარა-კალპაკის ასსრ	10	—	10	—	—	—	—	—	—
სულ სსრკ-ში	19.711	21	17.673	15.997	70	1.968	1.220	215	304
გეგმის %	—	—	21	22	9	21	24	27	37
იყო 1937 წლის 10 აპრილისათვის	14.568	16	12.994	11.834	53	1.521	985	166	204
იყო 1936 წლის 15 აპრილისათვის	13.927	15	12.009	10.752	156	1.762	920	196	299

შენიშვნა: კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში არ არის დანაწილებული უკრაინის სს რესპუბლიკის ოლქების მიხედვით—2.226 ჰექტარი. სსრ კავშირის მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობებში არ არის დანაწილებული უკრაინის სს რესპუბლიკის ოლქების მიხედვით—17.164 ჰექტარი. (საქდესი).

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში

17 აპრილს ამხ. გ. ა. მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მორიგი სხდომა.

მსუბუქი მრეწველობის მუშაობა პირველ კვარტალში

სახკომსაბჭომ განიხილა საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. შ. მათიკაშვილის მოხსენება მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობის მიერ 1937 წლის პირველი კვარტალის გეგმის შესრულების შესახებ.

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობამ პირველი კვარტალის გეგმა არადამაკმაყოფილებლად შეასრულა: საერთო პროდუქციის გეგმა მთლიანად სახალხო კომისარიატის ხაზით შესრულებულია 90,2 პროცენტით, ნაცვლად 30.816.700 მანეთის პროდუქციისა, რისი გამოშვებაც გეგმით იყო გათვალისწინებული, გამოშვებულია 27.793 ათასი მანეთის პროდუქცია.

გეგმის შეუსრულებლობის შედეგად მსუბუქმა მრეწველობამ პირველ კვარტალში დააკლო 14,2 ტონა ბამბის ქსოვილი, 10.900 ცალი ტრიკოტაჟის თეთრეული, 25,8 ათასი ცალი ზედა-ტრიკოტაჟი, 54.000 წყვილი ჩულქის ნაწარმი, 38,5 ტონა ქეჩა, 5,2 ტონა გრეჟა, 190.000 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი, 65,8 ტონა მაგარი ტყავსაქონელი და 56 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

კიდევ უფრო არადამაკმაყოფილებელია პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის შესრულება, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული. მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის 30 საწარმოდან ასორტიმენტის გეგმა შეასრულა მხოლოდ 5 საწარმომ. სრულფასიანი პროდუქცია (პირველი ხარისხი) პირველ კვარტალში იყო: აბრეშუმის ჩულქები — მხოლოდ 19,7 პროცენტი (წუნი — 33,4 პროცენტი); ბამბის ჩულქები — 33,2 პროცენტი, ტრიკოტაჟის თეთრეული—58,8 პროც. აბრეშუმის მრეწველობამ სატისაჟო გრეჟა გამოუშვა იანვარში მხოლოდ 51,8 პროც. და თებერვალში—58 პროცენტი, ნაცვლად დარგობრივი კონფერენციის მიერ დაწესებული 80 პროცენტისა.

მთელი რიგი საწარმოების მიხედვით პროდუქციის ხარისხი გაუარესდა 1936 წელთან შედარებით.

ადგილი აქვს ნედლეულის გადახარჯვას. მაგალითად, თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში გეგმით გათვალისწინებული 2 პროცენტის ნაცვლად, ნარჩენი უდრის — 4,6 პროცენტს. ბამბის სართავ ფაბრიკაში ბამბისაგან ქსოვილის მიღება უდრის 85 პროცენტს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 91 პროცენტისა.

მთლიანად პროდუქციის საფაბრიკო-საქარხნო თვითღირებულება სახალხო კომისარიატის ხაზით პირველი კვარტალის ორი თვის განმავლობაში, გეგმით გათვალისწინებული 0,8 პროცენტით შემცირების ნაცვლად, გაიზარდა 2,5 პროცენტით. სამკერვალო მრეწველობის ხაზით თვითღირებულება გადიდდა 4,4 პროცენტით, სატრიკოტაჟო მრეწველობის ხაზით — 12,4 პროცენტით, თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში — 8,15 პროცენტით.

საწარმოო გეგმის შესრულების ეს მაჩვენებლები წარმოადგენენ იმის შედეგს, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას უწევდა საწარმოებს.

მთავრობის მიერ დაწესებული ასორტიმენტის მტკიცედ შესრულებისათვის ბრძოლის ნაცვლად, სახალხო კომისარიატი უშვებდა ამ ასორტიმენტის შეცვლას ცალკეული საწარმოების მიერ, აგრეთვე მას თვითონ შეჰქონდა ცვლილებები ამ ასორტიმენტში საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს ნებადაურთველად.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ძალიან თვალსაჩინოა მანქანა-იარაღების გაცდენა. ამ გაცდენების ძირითად მიზეზს წარმოადგენს არა ელექტროენერგიის უქონლობა საწარმოებში, რომლებსაც ენერგიას აწვდის რაიონულ ელექტროსადგურთა ჯგუფი, როგორც ამას სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელი მუშაკები ამტკიცებენ, არამედ წარმოების პროცესების არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია.

მაგალითად, ტრიკოტაჟის ფაბრიკაში „იდეალის" მანქანების გაცდენა უდრის 33,1 პროცენტს სამუშაო დროის მიმართ. მათ შორის ელექტროენერგიის უქონლობის გამო — 2,8 პროცენტს. აბრეშუმის სახვევი დაზგები პირველ კვარტალში გასცდნენ 31.217 საათს ან 4,2 პროც. სამუშაო დროის მიმართ, ხოლო ელექტროენერგიის მიუწოდებლობას გამო — მხოლოდ 0,9 პროც.

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ვერ უზრუნველჰყო მუშა-ხელის შენარჩუნება საწარმოებში. ცალკეულ საწარმოებში მუშახელის დენადობამ მიაღწია 35 პროცენტს (ტრიკოტაჟის ფაბრიკა).

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ვერ უზრუნველჰყო შესრულება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებისა 1936 და 1937 წლების განმავლობაში ყველა მუშის მიერ ტექნიკური მინიმუმის ათვისების შესახებ.

სახკომსაბჭომ გამოჰყო კომისია ამხ. გ. ა. მგალობლიშვილის, დეკანოზოვის, მათიკაშვილის, ხოშტარიას და რამიშვილის შემადგენლობით, რომელსაც დაავალა, სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისა და აზრთა გაზიარების საფუძველზე, შეიმუშაოს და ხუთი დღის ვადაში საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს დადგენილების საბოლოო პროექტი.

ეთერ-ზეთოვანი კულტურების განვითარება

სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა ღონისძიებანი ეთერ-ზეთოვანი კულტურების განსავითარებლად საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში. რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ეთერ-ზეთოვანი კულტურების თესვისა და დარგვის გეგმა 1937 წლისათვის დაწესებულია 495 ჰექტარის რაოდენობით. მათ შორის გერანი—420 ჰექტარი და კაზანლიკის ვარდი—75 ჰექტარი. გარდა ამისა, გააშენებენ კაზანლიკის ვარდის სანერგეებს 20 ჰექტარის საერთო ფართობზე. გერანის მწვანე მასის საშუალო მოსავლიანობა კოლმეურნეობებში მიღებულია 14.5 ტონის რაოდენობით.

ეთერ-ზეთოვან კულტურათა მოსავლიანობის მაქსიმალურად გადიდების მიზნით სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს ნაკვეთების გამოყოფა ამ კულტურებისათვის, მათი დამუშავება და მოვლა, აუცილებლად ჩაატაროს დაწესებულ ვადებში არანაკლებ ოთხგზისი მწკრივთაშორისო დამუშავება და გამოთოხნა. ეთერ-ზეთოვანი კულტურების აგროსაწარმოო მომსახურება კოლმეურნეობებში დაეკისრა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

1937 წელს გერანის კონტრაქტაციის გეგმა კოლმეურნეობებში დაწესებულია 50.400 ცენტნერის რაოდენობით, მათ შორის აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში—44.400 ცენტნერისა და ცხაკაიას რაიონში—6.000 ცენტნერის რაოდენობით.

○

თეატრის მშენებლობა ქუთაისში

შემდეგ სახალხო კომისართა საბჭომ მოისმინა ცნობა ქუთაისის თეატრის მშენებლობის პროექტის შესახებ. სახალხო კომისართა საბჭომ, სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად, დაამტკიცა პროექტი ქუთაისის თეატრისა 800 ადგილის რაოდენობით. შენობის საერთო მოცულობა უდრის 45.000 კუბ. მეტრს, მაყურებელთა დარბაზის სიმაღლე შეადგენს 14 მეტრს. თეატრის მშენებლობის ღირებულება, წარმოდგენილი გენერალური ხარჯთაღრიცხვით, დამტკიცებულია 3.500.000 მანეთის რაოდენობით.

○

სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა სახალხო სამეურნეო აღრიცხვის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის ამხ. ელენტის მოხსენება 1937 წლის 1 თებერვლისათვის პირუტყვის აღწერის შედეგბის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა კომისიას ამხ. დეკანოზოვის, ბერიძის, მათიკაშვილის, გვარამიას და ელენტის შემადგენლობით დაამუშაოს და სახალხო კომისართა საბჭოს წარმოუდგინოს რესპუბლიკის მეცხოველეობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული პრაქტიკული ღონისძიებანი.

○

შემდეგ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო ცნობად საქართველოს სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. გვარამიას განცხადება, რომ კომისარიატმა გაანაწილა ხაზაფხულო საძოვრები 1937 წლისათვის.

○

სახალხო კომისართა საბჭომ, გარდა ამისა, განიხილა ქუთაისში 1937 წელს დასამთავრებელი ლიტოპონის ქარხნისა და აბრეშუმის კომბინატის მშენებლობათა წყლით უზრუნველყოფის საკითხი. დაამტკიცა ადგილობრივი ხაშენი მასალის განაწილების გეგმა 1937 წლისათვის, საქართველოს სს რესპუბლიკის სახელგამის პოლიგრაფიული კომბინატის მშენებლობა, გათბობის საჭიროებისათვის თბილისის შეშითა და მინერალური ხათბობით მომარაგების საკითხი, დაამტკიცა საქართველოს მინერალური წყლების ტრესტის გადაცემა კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობიდან ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სისტემაში, მიიღო შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი ღონისძიებანი საქართველოს სს რესპუბლიკის კურორტებზე ვაჭრობის მოწყობის შესახებ. (საქდესი).

რაიონული პარტიული კონფერენციები

26 კომისრის სახ. რაიონი

19 აპრილს საღამოს შესდგა 26 კომისრის სახელობის რაიონის (თბილისი) XIX პარტკონფერენციის საბოლოო სხდომა.

ხმისდამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ამხ. პირაევი კითხულობს კომისიის ოქმს. ფარული კენჭისყრით რაიკომის პლენუმის წევრად ერთხმად არჩეულ იქნა ამხ ლ. ბერია. რაიკომის პლენუმის წევრთა შემადგენლობაში არჩეულ იქნენ აგრეთვე ამხ-ბი ვ. ბაქრაძე, გ. არუთინოვი, ვ. გოგეშვილი, გ. გიორგობიანი, ა. აივაზოვი, ჩერნიკოვი, ზაიცევა, ვართაზაროვა, პერჩიანი, აკოფოვი, ლომაძე, სოხაძე, კამალიანი, ჯიხაშვილი, ლეჟავა და სხვები სულ 46 კაცი. ასარჩევი კი იყო 47 კაცი. სამმა დასახელებულმა კანდიდატმა ხმების თანაბარი რაოდენობა მიიღო, კიდევ უნდა აერჩიათ ერთი. კონფერენციამ გადასწყვიტა ხელახლა ეყარა კენჭი ამ სამი ამხანაგისათვის.

დაახლოვებით ასეთივე სურათი გამოვიდა პლენუმის წევრობის კანდიდატებად დასახელებულთა მიმართ. სამმა ამხანაგმა ხმების თანაბარი რაოდენობა მიიღო, კიდევ ასარჩევი იყო ორი და აირჩიეს კიდეც.

სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნა 5 კაცი.

97 კაცი არჩეულ იქნა ხმის უმეტესობით დელეგატებად თბილისის პარტიულ კონფერენციაზე გადამწყვეტი ხმით.

... სტალინი!

მთელი დარბაზი ერთი კაცივით ფეხზე დგება და აღფრთოვანებით ტაშს უკრავს საყვარელ ბელადს, რომელიც ცარიზმის დროს მძიმე არალეგალობის წლებში ყოფილი ავლაბრის არალეგალურ სტამბას აწყობდა და ხელმძღვანელობდა.

26 კომისრის სახელობის რაიონიდან თბილისის კონფერენციის დელეგატებად არჩეულ იქნენ ამხ-ბი ვ. ბაქრაძე, გ. არუთინოვი, ვ. გოგეშვილი, გ. მუსაბეკოვი, ლევანდოვსკი, იარცევი, გიორგობიანი, გოგლიძე, ბუაჩიძე, აივაზოვი, აკოფოვი, ზაიცევა, კნივა, ლეჟავა და სხვ. სათათბირო ხმის მქონე დელეგატებად არჩეულ იქნა 7 კაცი.

პლენუმის წევრებად არჩეული 47 კაციდან 21 წევრი ახალია.

შემდეგ კონფერენციამ ერთხმად მიიღო დადგენილება ამხ. გიორგობიანის მოხსენების გამო. კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად სცნო რაიკომის მუშაობა, ხოლო ამავე დროს აღნიშნა ნაკლოვანებანი რაიკომისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში. დადგენილებაში კონფერენციამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი საკ. კ. პ (ბ) ც. კ-ის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა და დიდი სტალინის მითითებათა განხორციელებისათვის.

სამანდატო კომისიის მოხსენების დამტკიცებით კონფერენციამ დაამთავრა თავისი მუშაობა.

თბილისის რაიონი

გუშინ საღამოს გაიხსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის რაიონის მე-3 კონფერენცია.

მქუხარე ხანგრძლივი ტაშით კონფერენციამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიურო ამხანაგ სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხ-ბი ეჟოვი, ლ. ბერია, დიმიტროვი, ტელმანი და ხოზე დიასი.

საქმიან პრეზიდიუმში კონფერენციამ აირჩია 13 კაცი, სამანდატო კომისიაში 3 და სამდივნოში 5 კაცი.

კონფერენციამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: საქ. კ. პ. (ბ) რაიკომის ანგარიში, სარევიზიო კომისიის თანამოხსენება, რაიკომისა და სარევიზიო კომისიის და სრულიად-საქართველოს მე-10 პარტყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები.

საღამოს სხდომაზე პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ლეკიშვილმა.

კონფერენციას ესწრება 95 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 7 სათათბიროთი.

ბ ა ღ დ ა თ ი

(ტელეგრაფით „კომუნისტის" რედაქციას)

19 აპრილს გაიხსნა საქ. კ. პ. (ბ) ბაღდათის რაიონის პარტიული კონფერენცია.

კონფერენციას დაესწრო 41 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 9 — სათათბიროთი.

საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩიეს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიურო ამხანაგ სტალინის მეთაურობით, ამხ. ლ. ბერია, დიმიტროვი, ტელმანი, ხოზე დიასი და დოლორეს იბარური.

საქმიანი პრეზიდიუმისა და სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ კონფერენციამ დაამტკიცა დღის წესრიგი: 1) საქ. კ. პ. (ბ) ბაღდათის რაიონული კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, 2) სარევიზიო კომისიის ანგარიში, 3) რაიკომისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები, 4) საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობის დელეგატთა არჩევნები.

რაიკომის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ბაღდათის პარტრაიკომის მდივანი ამხ. დუმბაძე.

იგი დაწვრილებით შეეხო კომიტეტის მუშაობის ყველა მხარეს, აღნიშნა, რომ ბაღდათის პარტორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა პარტიის წესდების დარღვევა-დამახინჯებას, თვითკრიტიკის ჩახშობის და შინაპარტიული დემოკრატიის უგულებელყოფის მრავალ შემთხვევას.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდა 19 დელეგატი. გამოსული ამხანაგები ამჟღავნებდნენ პარტიის წესდების დამახინჯების ფაქტებს, ბოლშევიკურად აკრიტიკებდნენ რაიკომის მუშაობის ნაკლოვანებებს და სახავდნენ ღონისძიებებს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მოკამათენი განსაკუთრებით ეხებიან რევოლუციური სიფხიზლის ამაღლების და პარტიულ - აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს.

კონფერენცია გრძელდება.

◇ ◇ ◇

ბოლომდე უნდა გამოსწორდეს დაშვებული შეცდომები

ქუთაისი, 19 აპრილი (საქდესი). პარტიის ქუთაისის ქალაქკომის ბიურომ განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ქუთაისის პარტორგანიზაციაში პარტორგანოთა არჩევნების წესის უხეშად დარღვევის შესახებ.

ქალაქკომის ბიურომ სავსებით სწორად სცნო ცენტრალური კომიტეტის მითითებანი და დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი დაშვებულ შეცდომათა გამოსასწორებლად.

გაუქმებულია, როგორც არასწორი, არჩევნები პარტორგანოებისა და საქალაქო პარტკონფერენციის დელეგატებისა ქალაქის პროფსაბჭოში, ინდუსტრიულ მუშფაკში, მანქანა-ტრაქტორების სადგურში, გუმბრინში, რაისამომხმარებლო კავშირში.

გაუქმებულია, როგორც არასწორი, ლიტოპონმშენის პარტკომის მდივნის არჩევნები. ამ პარტორგანიზაციებში არჩევნები ხელახლა მოხდება.

ყველა პარტიულ ორგანიზაციას წინადადება მიეცა, პარტიულ კრებების დამთავრებასთან ერთად, უზრუნველჰყონ ოქმების გაფორმება და პარტიული კრებების მასალების შენახვა შემოღებული წესით.

პარტორგანოთა არჩევნების მოწყობის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებათა დარღვევისათვის პარტიის ქალაქკომის ბიურომ მითითებანი მისცა პარტიის ქალაქკომის მდივანს ამხ. ჩხაიძეს, კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილების გამგეს ამხ. ბრეგვაძეს, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. გველესიანს, პარტიის ქალაქკომის ინსტრუქტორებს ამხ. ბენიაშვილსა და ლალაძეს.



ქუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში დადგმულია რამდენიმე სპეციალური მანქანა—საბჭოთა წარმოებისა და იმპორტული. მუშაობაში შემოწმებისას საბჭოთა მანქანებმა საუცხოო ხარისხი გამოამჟღავნეს. სურათზე: ფაბრიკის სტახანოველი ქალი ამხ. ზაბოლოტნაია. მუშაობს მანქანა „დიგკორზე". ცვლაში იძლევა 4-5 ათას მარყუჟს.

(„სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ლ. თიკანაძე

მსუბუქი მრეწველობა პირველ კვარტალში

მიმდინარე წელი მეორე ხუთწლედის უკანასკნელი წელია. ეს გარემოება მრეწველობის სახალხო კომისარიატებისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, რათა მაღალი ხარისხით შეასრულონ ხუთწლიანი გეგმის ყველა მაჩვენებლები.

სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლამ და შრომის ნაყოფიერებისათვის ბრძოლის ახალმა ენტუზიაზმა, რამაც ფართოდ მოიცვა მთელი საბჭოთა კავშირის მუშათა მრავალმილიონიანი მასები, ახალი რეზერვები გამოავლინა და შესაძლებელი გახადა 1937 წლის გეგმების საგრძნობი გადიდება ხუთწლიანი გეგმის დავალებასთან შედარებით. კიდევ მეტი: ამან შესაძლებელი გახადა გეგმების დიდი გადაჭარბებით შესრულება სსრ კავშირის მრეწველობის მთელი რიგი დარგების მიერ. მიუხედავად ამისა, საქართველოს მსუბუქმა მრეწველობამ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მუშაობა ყველა მაჩვენებლებით საგრძნობი გარღვევით დაასრულა.

საქართველოს მსუბუქ მრეწველობას 1-ლ კვარტალში გეგმით უნდა გამოეშვა 30.816,7 ათასი მანეთის პროდუქცია (1926—27 წლის უცვლელი ფასებით), ფაქტიურად კი გამოუშვა 27.271,9 ათასი მანეთის, ანუ გეგმა შეასრულა 90,2 პროცენტით.

ამგვარად, საქართველოს მსუბუქმა მრეწველობამ პირველ კვარტალში ქვეყანას დააკლო 3.023,6 ათასი მანეთის პროდუქცია. მან 8,4 პროცენტით ნაკლები პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე 1926 წლის მეოთხე კვარტალში.

საერთო პროდუქციის გამოშვების მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩნენ: თავსაბურავების ფაბრიკა (გეგმა შეასრულა 44,2 პროცენტით), ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა (67,6 პროც.), თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკა (68,7 პროც.), ტრიკოტაჟის ფაბრიკა (69, პროც.), თექის ფაბრიკა (65 პროც.).

რა ობიექტურმა მიზეზებმა გამოიწვია მსუბუქი მრეწველობის გეგმის შეუსრულებლობა? ასეთ მიზეზებად მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი ასახელებს აბრეშუმის ხამი ქსოვილის მიუღებლობას ნუხის (აზერბეიჯანი) ფაბრიკიდან, რამაც 1.015 ათასი მანეთით შეამცირა თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის პროდუქცია, და ელექტროენერგიის ნაკლებობას, რამაც გამოიწვია იანვარ-თებერვალში წარმოებათა ნაწილობრივ გაცდენები.

მაგრამ არ არის სწორი გეგმის შეუსრულებლობის ახსნა ამ ობიექტური მიზეზებით. ჯერერთი, აბრეშუმის ხამი ქსოვილის მიუღებლობა უმთავრესად ისევ კომისარიატის სუსტ მუშაობას უნდა მიეწეროს, რომელმაც ვერ მიიღო გადამჭრელი ზომები საკავშირო მსუბუქი მრეწვ. სახკომისარიატის მიერ გეგმით დამტკიცებული ნახევარფაბრიკატის (ხამი ქსოვილის) მისაღებად. მეორე, ელექტროენერგიის მიწოდების მხრივ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო, ვიდრე წარსულ წლებში, რადგან ჰიდროსადგურები წელს უკეთ იყვნენ უზრუნველყოფილნი წყლით და უფრო კარგადაც მუშაობდნენ. სატრიკოტაჟო ფაბრიკაში დანადგარების გაცდენა შეადგენდა: მანქანა „იდეალის" 33 პროც., აქედან ელექტროენერგიის ხარჯზე მხოლოდ 2,8 პროცენტს, კოტონ მანქანებისა—20,8 პროც., აქედან ელექტროენერგიის მიზეზით მხოლოდ 2,7 პროც. როგორც ვხედავთ გეგმის ჩაშლის მთავარი მიზეზს ელენერგიის სიმცირე როდი წარმოადგენს.

მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთ საწარმოს გასულ წელს გამოეყო სათანადო თანხები საკუთარი სარეზერვო თბოელსადგურების მოსაწყობად (თბილისის ტყავის ფაბრიკა, მეორე სამკერვალო ფაბრიკა), მაგრამ, როგორც სჩანს, მათ ვერ უზრუნველჰყვეს ამ სადგურების დროზე ამუშავება. ამასაც რომ თავი დავანებოთ, მსუბუქ მრეწველობას მაინც ჰქონდა საშუალება მთლიანად შეესრულებინა კვარტალური გეგმა, წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია, რომ თავის სიმაღლეზე მდგარიყო. მაგალითად, ბათუმის სამკერვალო ფაბრიკამ კვარტალის გეგმის შესრულებას დააკლო 32,4 პროც. მხოლოდ იმიტომ, რომ საკმაოდ არ ჰყავდა მუშა-ხელი და ამის გამო ვერ უზრუნველჰყო სრული ერთცვლადი მუშაობაც კი. თბილისის სამკერვალო ფაბრიკებს გარღვევები ჰქონდათ იმიტომ, რომ ცენტრალურმა საგამომჭრელო ფაბრიკამ ვერ უზრუნველჰყო ისინი გამოჭრილი ნახევარფაბრიკატებით. ასეთივე მიზეზით ჩაიშალა გეგმა თავსაბურავების ფაბრიკაში და ზოგიერთ სხვა საწარმოში. მაშასადამე, გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეული იყო სუსტი ხელმძღვანელობით და წარმოების სუსტი ორგანიზაციით, და არა ობიექტური მიზეზებით.

კიდევ უარესია მდგომარეობა ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულების მხრივ.

ავიღოთ პროდუქციის ხარისხი. საკავშირო მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის 1937 წლის 15 მარტის ბრძანებით აკრძალულია მდარე ხარისხისა და წუნდებული პროდუქციის გამოშვების დაგეგმვა. მსუბუქმა მრეწველობამ უნდა უზრუნველჰყოს მთელი 100 პროცენტით სალი პროდუქციის გამოშვება. ეს გასაგებიც არის. საბჭოთა სოციალისტური მრეწველობა შეიარაღებულია მოწინავე ტექნიკით, უზრუნველყოფილია მოწინავე და შეგნებული მუშათა და ტექნიკური კადრებით, წარმოების სოციალისტური ხასიათი პირობებს უქმნის ხარისხისათვის ბრძოლას და შრომის მაღალ ორგანიზაციას.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობა კი განაგრძობს წუნდებული პროდუქციის დიდი რაოდენობით გამოშვებას. მაგალითად, აბრეშუმის ძაფსალებმა ქარხნებმა გეგმით უნდა გამოუშვან 80 პროცენტით სატისაჟო (I, II და III) კლასების გრეჟა. ნამდვილად გამოშვებულ იქნა ამ კლასების გრეჟა იანვარში 51,8 პროცენტი, თებერვალში—58 პროცენტი. ამის მთავარი მიზეზია ის, რომ თითონ აბრეშუმის მრეწველობის სამმართველო უხეიროდ გეგმავს პროდუქციის ხარისხს და არ იბრძვის მაღალხარისხოვანობისათვის. მაგალითად, წინააღმდეგ საკავშირო მთავრობის მიერ დამტკიცებული გეგმისა, მან სატისაჟო კლასების გრეჟა დაგეგმა 58 პროც., მაშინ, როცა ზოგიერთ საწარმოებში უკვე მიღწეულია 80 პროც. თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკას პირველი ხარისხის კამვოლის ქსოვილები გეგმით უნდა გამოეშვა 85,6 პროცენტი, ნამდვილად კი გამოუშვა იანვარში 46,6 პროც. და თებერვალში — 68,1 პროც. თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკას უნდა გამოეშვა პირველი ხარისხის პროდუქცია 84,7 პროც., გამოუშვა 59,6 პროც. სამაგიეროდ აბსოლუტურად წუნდებული პროდუქცია გამოუშვა 3,1 პროცენტი, ხოლო მესამე ხარისხის ჩათვლით, რომელიც აგრეთვე წუნად ითვლება, —7,9 პროცენტი. ბამბის სართავმა ფაბრიკამ მაღალი ნომრის ნართის (54/I) გეგმა მხოლოდ 22 პროცენტით შეასრულა. ტრიკოტაჟის ფაბრიკის მიერ გამოშვებული აბრეშუმის ჩულქებიდან წუნს შეადგენდა იანვარში 39,1 პროც., ხოლო თებერვალში—43,5 პროცენტი, პირველი და მეორე ხარისხის პროდუქცია კი შეადგენდა მხოლოდ 35,4 პროცენტს. თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკას მარტში წუნი ჰქონდა გადაკეთებით პროდუქციაში 14,6 პროც., წარმოებაში—0,8 პროც. და ეგრეთწოდებული „საფეიქრო" წუნი (თითქოს მატერიის მიზეზით)—19 პროცენტი. რა ფასი აქვს ასეთი პროდუქციის გამოშვებას? იგი უმიზნოდ ანადგურებს ძვირფას სამრეწველო ნედლეულს, გამოშვებულ წუნდებულ პროდუქციას გამოუსადეგარს ხდის საბჭოთა მომხმარებლისათვის, ხელს უშლის პარტიის მე-17 ყრილობის დადგენილების განხორციელებას მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში.

თითქმის ყველა საწარმოში ადგილი აქვს საწარმოო ასორტიმენტის დარღვევას. მაგალითად, თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკამ, რომელმაც გეგმა საერთოდ 2,2 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა, კამვოლის ქსოვილების გეგმა შეასრულა: ხამი ქსოვილისა 90,1 პროცენტით და მზა ნაწარმისა—96 პროცენტით. ბამბის სართავმა ფაბრიკამ საერთო გეგმა შეასრულა 80,5 პროცენტით, დაბალი ნომრის ნართის (14/3) გეგმა—126,2 პროცენტით. ამგვარად, სატრიკოტაჟო წარმოებისათვის საჭირო მაღალი ნომრების გეგმა დიდი გარღვევით შესრულდა. ასეთივე სურათია სამკერვალო წარმოებაშიც.

საწარმოო ასორტიმენტის ასეთი დარღვევა ნიშნავს მოტყუებას, თვალის ახვევას. ამით წარმოება მიზნად ისახავს პროდუქციის გამოშვება ხელოვნურად გაზარდოს, რომ გეგმა შესრულებულად მოაჩვენოს ღირებულებითი გამოხატულებით, მაგრამ ანგარიშს არ უწევს ასორტიმენტს, მომხმარებლის ინტერესებს, უგულებელჰყოფს საკავშირო სახკომსაბჭოს სპეციალურ დადგენილებას იმის შესახებ, რომ მრეწველობას პროდუქცია უნდა იგეგმებოდეს როგორც ღირებულებითი გამოხატულებით, ისე ნატურალური გამოხატულებითაც და რომ სავალდებულოა გეგმით დამტკიცებული ასორტიმენტის დაცვა.

ასორტიმენტის მხრივ კარგი მდგომარეობა აქვს აბრეშუმის საქსოვ მრეწველობას, რომელსაც თითქმის სავსებით დაცული აქვს საგეგმო ასორტიმენტი და ფეხსაცმლის წარმოებას, რომელმაც, პირიქით, გადაჭარბებით შეასრულა გაუმჯობესებული ხარისხის, შრომისტევადი პროდუქციის გამოშვების გეგმა.

საკავშირო უმაღლესი ორგანოების დადგენილების თანახმად, 1937 წელს უნდა მომხდარიყო ყველა მუშების გადაყვანა გამომუშავების ნორმებიდან ტექნიკურ ნორმებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მუშათა მთელმა 100 პროცენტმა მიმდინარე წელს უნდა აითვისოს ტექნიკური ნორმები. ამ მხრივ საქართველოს მსუბუქ მრეწველობას პირველ კვარტალში დიდი ჩამორჩენა ჰქონდა. 7.606 მუშიდან სანარდო სისტემაზე გადაყვანილი იყო მხოლოდ 5.328 კაცი. ამათგან თებერვალში გამომუშავების დაწესებულ ნორმებს მთლიანად ასრულებდა მხოლოდ 45,9 პროცენტი; ხოლო ტექნიკურ ნორმებს—37,6 პროცენტი.

ტექნიკური ნორმების ათვისებას ასეთი პროცენტი აშკარად არადამაკმაყოფილებელია, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სანარდო სისტემაზე გადაყვანილთა 45,3 პროცენტი სტახანოველია. ვგამოდის, რომ სტახანოველების საგრძნობ ნაწილს ათვისებული არა აქვს ტექნიკური ნორმები. ცხადია, ასეთი „სტახანოველი" არ შეიძლება ნამდვილ სტახანოველად ჩაითვალოს.

საქართველოს მსუბუქ მრეწველობას საერთოდ სტახანოველთა დიდი დენადობა ახასიათებს. ხშირია შემთხვევა, როცა მუშა ერთ თვეში სტახანოველია, მეორე თვეში კი ამოშლილია სტახანოველთა სიიდან. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ წარმოებაში ცუდადაა დაყენებული შრომის ორგანიზაცია, არ ტარდება შრომის ნაყოფიერების წამახალისებელი ღონისძიებანი, სუსტადაა დაყენებული ტექნიკური სწავლება.

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს დღემდე არ დაუმტკიცებია მუშათა ტექნიკური სწავლების გეგმა და ეს მუშაობა ადგილებზე თვითდინებაზეა დაყრდნობილი. წარმოების მიერ შედგენილი გეგმები არ სრულდება. მაგალითად, აბრეშუმის მრეწველობის ქუთაისის კომბინატში დაწყებითი ტექნიკური სწავლების კურსები უნდა გაევლო 300 მუშას, ნამდვილად ჩაბმულია სწავლებაში 130 მუშა, მომაღლო ტიპის კურსებზე სწავლობს 12 კაცი, ნაცვლად 100 კაცისა, სოციალისტური შრომის ოსტატთა სკოლაში 30 კაცი, ნაცვლად 50-ისა. ასეთივე მდგომარეობაა ძაფსალებ ფაბრიკებშიც. ხოლო სამკერვალო, ტრიკოტაჟის, ბამბისსართავ, თექის და ბამბის ფაბრიკებში ტექნიკური სწავლება ჯერ არც კი დაწყებულა.

პირველი კვარტალის გეგმით საქართველოს მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულება უნდა შემცირებულიყო 0,8 პროცენტით, ნამდვილად კი, პირიქით, თვითღირებულება, 1936 წლის საშუალო თვითღირებულებასთან შედარებით, გაიზარდა 2,5 პროცენტით. ამ მხრივ პირდაპირ სამარცხვინო მაჩვენებლებს იძლევიან: ტრიკოტაჟის ფაბრიკა, სადაც 6,9 პროცენტის ნაცვლად თვითღირებულება გაიზარდა 19,3 პროცენტით, თექის ფაბრიკა (26,9, ნაცვლად 4 პროცენტისა), ჯაგრის ფაბრიკა (20 პროც. ზრდა, ნაცვლად 2 პროცენტით შემცირებისა), თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკა (15,3 პროც. ზრდა, ნაცვლად 1,8 პროცენტისა), სამკერვალო წარმოებას ინდივიდუალური დაკვეთების სახელოსნო (5,3 პროც. ნაცვლად 3,1 პროც. შემცირებისა), თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა (8 პროც. ზრდა ნაცვლად 0,15 პროცენტისა) და სხვ.

როგორც ვხედავთ, საქართველოს მსუბუქი მრეწველობა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა. კვარტალური გეგმის არცერთი მაჩვენებელი შესრულებული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ გეგმები თავისთავად სავსებით რეალური იყო.

ამ გარემოებამ სერიოზულად უნდა ჩააფიქროს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობა. მას მეტი ოპერატიულობა ჰმართებს თავის მუშაობაში, რათა ნამდვილი ცოცხალი ხელმძღვანელობა გაუწიოს საწარმოებს და უზრუნველჰყოს წლიური გეგმის ყველა მაჩვენებლების მაღალხარისხოვნად შესრულება.

მეორე ხუთწლედის უკანასკნელი წლის—მეორე სტახანოვური წლის გეგმის შეუსრულებლობა ყოვლად შეუწყნარებელია, განსაკუთრებით მსუბუქ მრეწველობაში, რომელზედაც დიდად არის დამოკიდებული შესრულება საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობის დადგენილებისა მასების მატერიალურ-ყოფაცხოვრებითი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

პირველი კვარტალის დანაკლისი მთლიანად უნდა შეივსოს მეორე კვარტალში!

◆

ტყიბულმა ჩამორჩენას თავი უნდა დააღწიოს

ოქტომბერი, 1936 წელი. ტყიბულის ქვანახშირის სტალინის სახელობის მაღაროს ხელმძღვანელნი ამბობენ: წელს ნახშირის ფრონტი არა გვაქვს, ახლა ვხსნით ახალ შახტს, მას სამი უბანი ექნება, საიდანაც დღეღამეში 600 ტონაზე მეტ ქვანახშირს გამოვზიდავთ, საცაა შახტი მზად იქნება საექსპლოატაციოდ...

აპრილი, 1937 წელი. ახლა ამ მაღაროს ხელმძღვანელნი აცხადებენ: მართალია, შახტი ექსპლოატაციაში გავუშვით, მაგრამ ფენებში ნახშირის ნაცვლად ქვა გვხვდება, მუშებიც ცოტანი გვყავან, ამიტომაა, რომ ასე ძალიან ჩამორჩით პირველ კვარტალში...

ეს მოგონილი მიზეზია!

— არა, ქვანახშირი არის,—ამბობს ამ მაღაროს ორდენოსანი მნგრეველი ამხ. გრიგოლ გორგიძე,— მაგრამ ჩვენზე დამოკიდებული მიზეზით ვერ სრულდება გეგმა.

წელს სტალინისა და ლენინის სახელობის მაღაროებს იგივე გეგმა აქვთ, რაც შარშან ჰქონდათ,—330 ათასი ტონა ქვანახშირის გამოზიდვა. მაღაროებში მუშაობის პირობები გაუმჯობესდა, ტრესტმა უზრუნველყო მაღაროებისათვის ახალი ვაგონების გადაცემა, ასაფეთქებელ მასალათა დროზე მიწოდება და მექანიზაციის გაუმჯობესება... მაგრამ გეგმა მაინც არ სრულდება.

სტალინის მაღაროში კვლავ მუშათა ნაკლებობას ჩასცივებიან. მთავარი ინჟინერი ამხ. დ. კაპანაძე სჩივის, რომ მუშები აკლია. ეს მტკნარი სიცრუეა! იანვარში მაღაროს 701 კაცის ნაცვლად 720 ჰყავდა, ე. ი. გეგმაზე მეტი, მაგრამ 13.300 ტონის ნაცვლად გამოიღეს მხოლოდ 6600 ტონა ქვანახშირი, — გეგმის 49,6 პროცენტი, თებერვალში 700 კაცი ჰყავდათ, მაგრამ გეგმა 76,5 პროცენტით შეასრულეს.

ამგვარად, სტალინის სახელობის მაღარომ პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა მხოლოდ 76,2 პროცენტით, დაგვაკლო 10 ათასი ტონა ქვანახშირი.

უნდა გვეფიქრნა, რომ აპრილში მდგომარეობა ნაწილობრივ მაინც გაუმჯობესდებოდა. ეს არ მოხდა. პირველ დეკადაში, თებერვალთან და მარტთან შედარებით, მაღარომ უფრო გააუარესა მუშაობა და გეგმა შეასრულა მხოლოდ 60 პროცენტით.

ამ მაჩვენებელთა უკან მაღაროს ხელმძღვანელთა უმსგავსო მუშაობა იმალება.

აპრილის მეორე დეკადაშიც არ მომხდარა სერიოზული გარდატეხა. მაგალითად, 11 აპრილს სტალინის სახელობის მაღარომ 608 ტონის ნაცვლად გამოიღო 355 ტონა,—58,8 პროც., 13 აპრილს—400 ტონა,—65,8 პროც., 14-ს—389 ტონა—63,8 პროცენტი.

ლენინის მაღაროელებმა პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, მაგრამ აპრილში მუშაობა შეანელეს, უბნებისადმი ხელმძღვანელობა შეასუსტეს და აპრილში პირველი დეკადის გეგმა მხოლოდ 90 პროცენტით შეასრულეს, მეორე დეკადაში მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა, მაგრამ დღიური გეგმის სისტემატურად შესრულებისათვის ჯერ კიდევ ვერ მიუღწევიათ.

მაღარო კონვეიერული წესით უნდა მუშაობდეს, ე. ი. თვითეულ რგოლში შეუფერხებელი მუშაობა უნდა სწარმოებდეს, ხოლო ამ რგოლის სუსტი მუშაობა მთელი მაღაროს მუშაობას არღვევს. მაგალითად, როგორი უნდა იყოს მნგრეველის შრომის ნაყოფიერება, როცა მას ხელთ არა აქვს ყველა იარაღი? ან რა უნდა გააკეთოს მნგრეველმა, როცა ქვანახშირის ფენაში ელბურღი უკულმა ტრიალებს, რასაც მონტიორები დროზე არ ასწორებენ? ასაფეთქებელი მასალაც გვიან მიაქვთ საკანში, სინათლე სუსტია, ოლფის მიმტანი დროზე არ მიდის სანგრევში.

მაღაროს ინჟინრები ამბობდნენ ფინგელშტეინის სისტემის მიხედვით გაკეთებულმა გრძელმა საკანეებმა დაგვღუპა, ნახშირი თავისით არ ჩამოდის და 6 კაცი სჭირდება მის ჩამოწევასო. მაგრამ ახლა ხომ არ შეიძლება ამის თქმა? ახლა მაღაროში ხომ მოკლე სანგრევები აქვთ, სადაც ნახშირი თავისით ჩამოდის? საქმე ისაა, რომ ვაგონებს დროზე არ აწვდიან ამწმენდლებს.

ხშირია აგრეთვე ვაგონების ჩავარდნა ლიანდაგში. 13 აპრილს ნახშირით დატვირთული სამი ვაგონი გადავარდა ხაზიდან, მათს ამოღებას 20 წუთს მოუნდნენ, დიდძალი ნახშირი დაიკარგა, ამით შეფერხდა ამწმენდისათვის ვაგონის მიწოდება.

ან როგორ უნდა მიაწოდონ თავის დროზე ვაგონი ამწმენდს, როდესაც ცხენები მოუვლელობით ძალიან დასუსტებული არიან და ერთ სვლაზე ძლივს მიაგორებენ სამ ვაგონს?

რა მოსდევს ასეთ უსისტემო მუშაობას? ის, რომ სანგრევში ნახშირი გროვდება, გამოზიდვა ფერხდება, ამით სცდებიან ესტაკადზე მომუშავენი, რკინიგზის ვაგონები არ იტვირთება და ნახშირი დანიშნულებისამებრ არ იგზავნება, მთელ რიგ საწარმოებს სათბობი აკლდებათ.

სტალინის სახელობის მაღაროს ინჟინრებს, უბნის უფროსებს, ათისთავებს მოდუნება ეტყობათ. აქ სისტემატურად ირღვევა ქვანახშირის ექსპლოატაციის წესები, ტექნიკური უშიშროების დაცვას სერიოზული ყურადღება არ ექცევა, ელექტრომეურნეობა უმსგავსოდ არის დაყენებული. ამ საკითხების მოუგვარებლობის გამო ავარიები გახშირდა, რაც ადამიანთა მსხვერპლსაც იწვევს.

მაღაროებში მოსამზადებელი სამუშაოები დროზე არ სწარმოებს. სტალინის მაღაროს მნგრეველი სტახანოველები ამბობენ: ჩვენთან ნახშირის საექსპლოატაციო უბანი რომ მოთავდება, მერე იწყებენ მოსამზადებელ სამუშაოებსო. ეს ფაქტია.

როდემდის გაგრძელდება ასეთი დანაშაულებრივი უმსგავსოება? მაღაროებში სტახანოველები ცოტანი არიან. სტალინის მაღაროში 34 სტახანოველია, ლენინისაში—9. განა ეს საკმარისია? სტალინის მაღაროში სტახანოველები გრ. გორგიძე, არსენ შენგელია, გ. მესხორაძე, ალ. ბაბუნია, ალ. კუბლაშვილ, შალვა ფურცხვანიძე და სხვები 3-4 კაცის ნორმას ასრულებენ, მაგრამ მათ და სხვა მუშებს მაღაროს ხელმძღვანელები რომ კარგად ეხმარებოდნენ, კიდევ უკეთეს მაჩვენებლებს მოგვცემდნენ.

ტყიბულმა ჩამორჩენას თავი უნდა დააღწიოს! მას ყველა შესაძლებლობა აქვს წლიური გეგმის შესრულებისა და უნდა შეასრულოს კიდეც.

შალ. ბაბუნია

№ საარტილერიო ლეგიონი ტაქტიკურ სწავლებაზე. სურათზე: მებრძოლი—რადისტი ამხ. იმრან მუსტაფაევი რადიოთი გადასცემს ცნობას.

ფოტო სერედასი („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

დანაკლისი უნდა შევავსოთ

თბილისის ამხანაგ სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში უკანასკნელ ხანებში გეგმები სისტემატურად არ სრულდება. კონტრრევოლუციონერ ტროცკისტთა ნაბოლარების გაბრიაძის, შუსტერის და თოფურიძის ბნელი საქმიანობით იყო, რომ გასულ წელს ქარხანამ რკინიგზის ტრანსპორტს დააკლო 28 ორთქლმავალი, ხოლო მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში — 14 ორთქლმავალი.

იანვარში ქარხანას გეგმით უნდა შეეკეთებინა 26 ორთქლმავალი, შეაკეთა 16. თებერვალში 27-ის მაგიერ შეაკეთა 23 ორთქლმავალი.

იანვარ-თებერვლის დავალიანებით მარტში ქარხანას უნდა შეეკეთებინა 41 ორთქლმავალი.

ამ დავალებათა შესრულებისათვის ამოძრავდა ქარხნის მთელი კოლექტივი. განსაკუთრებული უნარიანობა გამოიჩინეს ამწყობ საამქროს სტახანოველებმა და დამკვრელებმა. ენერგიულად იბრძოდნენ ამწყობ საამქროს კედლის გაზეთები: „ამწყობი" და „ახალგაზრდა ამწყობი" თავიანთი მუშკორებით. ყოველდღე უშვებდნენ „ელვას", რომლის თვითეული ნომერი ამჟღავნებდა ნაკლს და ხელისშემშლელ პირებს. მაგალითად № 6327 ორთქლმავლისათვის შემდუღებლებს უნდა შეედუღებინათ ცილინდრი. გამოირკვა, რომ შემდუღებელ საამქროს უფროსის მოადგილე რიაბუხა 8 დღე ჯიბით ატარებდა შეკვეთას. მუშკორებმა „ელვაში" ამხილეს რიაბუხა, და მხოლოდ ამან დააჩქარა ცილინდრის შეკეთება. ასეთივე ფაქტები მრავლად გამოამჟღავნეს კედლის გაზეთებმა.

მონდომებული მუშაობისა და ბრძოლის შედეგად ქარხანამ მარტში გზას 31 შეკეთებული ორთქლმავალი მისცა. ამით დაჰფარეს მხოლოდ თებერვლის დავალიანება. ამგვარად, პირველ კვარტალში შესაკეთებელი 80 ორთქლმავლიდან ქარხანამ შეაკეთა და გზას ჩააბარა 70 ორთქლმავალი, კვარტალის გეგმა შეასრულა 87,5 პროცენტით.

პირველ კვარტალში რესორებისა და სათადარიგო ნაწილების თავის დროზე დაუმზადებლობის გამო მოსალოდნელი იყო გარღვევა ვაგონებისა და ელექტრომავლების შეკეთების დარგში. სტახანოველთა და დამკვრელთა ენერგიული მუშაობის შედეგად ქარხანამ ვაგონების და ელმავლების შეკეთების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

ჩამომსხმელმა საამქრომ პირველ კვარტალში მიცემული გეგმით 850 ტონა თუჯისა და თითბრის ნაცვლად გამოადნო და ჩამოასხა 913,9 ტონა, გეგმა შეასრულა 107,5 პროცენტით.

სამჭედლო საამქროს გეგმით კვარტალში უნდა გამოეჭედნა 1.430 ტონა რკინა, ფაქტიურად კი გამოსჭედა და გადაამუშავა 1.615 ტონა რკინა, გეგმა შეასრულა 119 პროცენტით.

ამგვარად, ქარხანა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ჩამორჩა ორთქლმავლების შეკეთებაში. სხვა დარგში თუმცა აქვს მიღწევები, მაგრამ ნაკლი ჯერ კიდევ ბევრია. ადგილი აქვს წუნის გამომუშავებას, რის გამო ხდება განმეორებითი შეკეთება, ხელოსნები ჯერ კიდევ არ არიან მომარაგებული კარგი ხარისხის ხელსაწყო - იარაღებით, აკლიათ ბურღები, ქლიბები, დაზგის ღვედები და სხვ.

ქარხნის გეგმის შესრულება დამოკიდებულია საქვაბე საამქროს ნორმალურ მუშაობაზე, მაგრამ აპრილშიაც ვიწრო ადგილს სწორედ ეს საამქრო წარმოადგენს.

ამ საამქროს გეგმით აპრილში უნდა შეეკეთებინა 32 ორთქლმავლის ქვაბი. 5 აპრილს, ნაცვლად 7 ქვაბისა, შეაკეთა მხოლოდ სამი. საქვაბე საამქროს სამუშაოზე საშუალოდ უნდა იდგეს 7-8 ქვაბი, 5 აპრილს შეკეთების მოლოდინში იდგა 14.

რა არის შესაკეთებელი ქვაბების დაგროვების მიზეზი? ამის მიზეზია, ჯერ ერთი, ის, რომ ქარხნის ხელმძღვანელებმა აპრილის ოპერატიული გეგმა, ნაცვლად 27-28 მარტისა, საამქროს 2 აპრილს გადაუგზავნეს. საქვაბე საამქროს ბუღჰალტერიამ (ბუღჰალტერი ელენე გელაძე) გეგმა მიიღო 2 აპრილსავე, მაგრამ იგი სამი დღის შემდეგ გადასცა საამქროს. უდავოა, ასეთი დაუდევრობა აფერხებს სამუშაოთა და მუშა-ხელის განაწილებას. გარდა ამისა, მექვაბეებს საკმაო რაოდენობით არა აქვთ პნევმატური ჩაქუჩები, ხოლო რაც აქვთ, ისიც მოშლილია და უვარგისი, მაგრამ საიარაღო საამქრო თავს არ იწუხებს უვარგისი ჩაქუჩების შესაკეთებლად.

— სახარატო საამქრო სამაგრებს არ გვაწვდის, — ამბობს სტალინური დამკვრელის ნიშნოსანი სტახანოველი ბრიგადირი ამხ. ივანე ქებაძე.— სცდება ბრიგადა, ფერხდება ქვაბების შეკეთება. 2 აპრილს სახარატოში გასაჩარხად გადატანილი 70 ცალი ჰანჭიკი უნდა მიმეღო 3 აპრილს, მაგრამ ჰანჭიკებს 5 აპრილსაც ველოდებოდი.

— ცილინდრები მზად გვაქვს 12 ორთქლმავლისათვის, მაგრამ არ გვაძლევენ ქვაბებს, სცდება მთელი საცილინდრო ბრიგადა, — განაცხადეს ოსტატებმა ამხ. შ. კონიაშვილმა და ვ. ყიფიანმა.

ორთქლმავალ - ვაგონების შემკეთებელმა წითელდროშოვანმა ქარხანამ, რომელიც ხალხთა ბელადის დიდი სტალინის სახელს ატარებს, ამ ქარხნის პარტიულმა და უპარტიო ბოლშევიკებმა, სტახანოველებმა, დამკვრელებმა და მთელმა კოლექტივმა კიდევ უფრო უკეთესად უნდა იმუშაონ, უნდა იბრძოლონ იმისათვის, რომ ძირშივე ამოსწვან გაიძვერა დივერსანტ თოფურიძის შემდეგ დარჩენილი ფესვები და გადაჭარბებით შეავსონ გარეწარ მავნებლების მიერ მიყენებული დანაკლისი.

დ. ჯღარკავა.

ტარას შევჩენკო

მარკევიჩს

მეფანდურევ, ორბო იისფერო!
ნეტავი შენ, გაქვს მაგარი ფრთები;
ძალგიძს ფრენით გული შეიჯერო,
სადაც გინდა, იქით გაფრინდები.
მაშ, გაფრინდი, ნახე უკრაინა.
იქ შენ, ვიცი, მიგელიან ცხარედ.
გადაფრენა შენთან ერთად მინდა,
მაგრამ მე იქ ვის გულს გავახარებ?
ჩემო კარგო, დავალ გარიყული
უკრაინის მიწაზედაც ობლად,
ვით უცხოეთს... ბედისაგან კრული
მეგობრად მყავს მხოლოდ მარტოობა.
ნეტავ გული რად კრთის, რისთვის გმინავს?
მე იქაც ხომ ვარ ეული, მარტო.
მარტოდ მარტო! ჩემო უკრაინა,
და ტრამალო, გადაშლილო ფართოდ!
იქ დაბერავს გაშმაგებით ქარი
და გაისმის ძმური საუბარი,
იქ შვებაა და სილაღე ველად
იქ ცისფერი ზღვა კაშკაშებს, ღელავს
ზღვა ადიდებს შემოქმედის ნებას,
თან აქარვებს გულის მწუხარებას.
იქ, კორღანი მოგუგუნე ქართან —
მწვანე ველზე მუსაიფებს მართავს.
მუსაიფობს, მათი საუბარი
მწუხარეა, როგორც გლოვის ზარი.
—„იყო ოდეს... გაჰქრა, ვით ოცნება—
ის არასდროს აღარ დაბრუნდება".
გაფრენა და ყურისგდება შორით,
თან ტირილი მათთან ერთად მსურდა
და, ვაი, რომ უცხოერის შორის
მბოჭავს ბედი, მტარვალივით მხუთავს!

თარგმანი შ. გოგბაძისა

◆

ჩვენ გვწერენ

როდემდის გაგრძელდება ასე?

ბაკურიანი ცნობილია კარგი, ჯანსაღი ჰავით. მას ზაფხულობით დიდძალი ხალხი აწყდება. აქ ისვენებენ სტახანოველები, დამკვრელები და სხვა მშრომელები. აქვე გახსნილია საკავშირო მნიშვნელობის სათხილამურო სადგური, სადაც სპორტის ოსტატები იკრიბებიან და მართავენ შეჯიბრებებს პირველობაზე, ზაფხულში ბანაკად ჩამოდიან წითელი არმიის მებრძოლები, გახსნილია ბავშვთა სანატორიუმიც.

ბაკურიანი მთელი წლის განმავლობაში ემსახურება მშრომელთა ჯანმრთელობას. ამიტომ ამ კურორტის კეთილმოწყობა, პირველ რიგში კი მთავარი ქუჩების წესრიგში მოყვანა, აუცილებელია. ამ მიზნით ჯერ კიდევ გასულ წელს სასოფლო საბჭომ მოსახლეობის აქტიური დახმარებით მთავარ გზაზე რკინიგზის სადგურამდე მოზიდა ქვიშა, შეაკეთა გზა, მაგრამ რკინიგზის ბაკურიანის სადგური კი ისევ ტალახშია ჩაფლული, სადგურის მოსაცდელი ოთახის კარს როგორც კი გააღებთ, ტალახში ჩაჰკრავთ ფეხს, ცუდ ამინდში ოთახიდან სულ არ გამოისვლება. ამ გზის საკითხი მრავალჯერ დაისვა რკინიგზის წინაშე, სადგურმაც ეს საკითხი გადაიტანა თავის ზემდგომ ორგანიზაციაში. მერე რა? დუმილი დღესაც გრძელდება.

როდემდის გაგრძელდება ეს ბიუროკრატული უქნარობა?

შ. ციცქიშვილი

ბაკურიანის სას. საბჭოს თავმჯდომარე.

მხოლოდ კონფეტი...

მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკაში 650-მდე მუშა-მოსამსახურე ითვლება. ფაბრიკას თავისი კოოპერატივი ჰქონდა, მაგრამ დახურეს. სოფლის კოოპერატივში კი მხოლოდ კონფეტი და პარფიუმერული ნაწარმი იშოვება. პირველი მოთხოვნილების საგნები არ არის. მუშები სხვა სოფლებში დადიან სამომხმარებლო საქონლის საყიდლად და მგზავრობაზე ხარჯი მოსდით. ორჯონიკიძის რაიკოოპკავშირმა (თავმჯდომარე ამხ. ჭყოიძე) უნდა უზრუნველჰყოს კოოპერატივი პირველი საჭიროების საგნებით.

კოწია შარიქაძე

დავფაროთ დებიტორული დავალიანება

წითელწყაროს (სიღნაღის რაიონი) კოლმეურნეობა „კომუნარმა" 1935 წელს ართელ „ლესტარას" ლაგოდეხიდან თავისი გამწევი ძალით ჩამოუზიდა ხეტყის მასალა. გადმოზიდვისათვის კოლმეურნეობას ერგებოდა 4.600 მანეთი, მიიღო კი მხოლოდ 1.505 მანეთი. საქმე სასამართლომ განიხილა და შარშან აპრილში აღმასრულებელი ფურცელიც გამოსწერა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. სატყეო ართელი „ლესტარა" წნორიდან თბილისში გადავიდა, ხოლო მის თავმჯდომარეს ამხ. პეტრე კახიძეს აზრადაც არ მოსვლია ამ თანხის გადახდა.

კოლმეურნეობა „კომუნარის" 4.500 მანეთი ვალი ჰმართებს წითელწყაროს მტს-საც. ეს თანხები ყოველწლიურად შეაქვთ შრომადღეებზე ჩასანაწილებელ თანხათა ჯამში, მაგრამ ფაქტიურად აქამდე არ გაუციათ.

დებიტორული დავალიანება დაუყოვნებლივ უნდა დაიფაროს.

გრ. გრიგოლია

◆

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„კომბინატორები"

რედაქციაში ამ სათაურით შემოსული წერილის ავტორი ჯუღელის რაიონიდან გვაცნობებდა: ბოსლევის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ტერენტი ფერაძე, თავმჯდომარის მოადგილე დავით მჭედლიძე და ფინმომუშავე ეორა ჰიპაშვილი უხეშად ეპყრობიან მშრომელებს, ახშობენ თვითკრიტიკას და სხვადასხვა კომბინაციებით ითვისებენ სახელმწიფო ქონებასო.

წერილი რედაქციამ გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ჯუღელის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. შარიქაძეს, რომელიც გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა, ტ. ფერაძე და დ. მჭედლიძე მოხსნილი არიან სამუშაოდან, ხოლო ფინმომუშავე ე. ჰიპაშვილი მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში.

„ჭვარტლით ვიმურებით"

„კომუნისტის" 11 მარტის ნომერში დაიბეჭდა ამხ. ეფ. ზაქარაიას წერილი სათაურით: „ჭვარტლით ვიმურებით".

ს. ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს აბანოების და სამრეცხაოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. თოლორაია გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტი მთლიანად დადასტურდა. კორესპონდენციაში მხილებული დეფექტების გამოსასწორებლად მიღებულია სათანადო ზომა საკვამლე მილის გასაკეთებლად.

„სავაჭროებს კონტროლს არ უწევენ"

„კომუნისტის" 10 მარტის ნომერში მოთავსებული იყო საკუთარი კორესპონდენტის ამხ. ეგ. გვასალიას წერილი სათაურით: „სავაჭროებს კონტროლს არ უწევენ".

ქუთაისის საქალაქო საბჭოს შინავაჭრობის განყოფილების გამგე ამხ. ჭ. კვერნაძე გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები ფეხსაცმლის ზედმეტ ფასებში გაყიდვისა დადასტურდა. სავაჭრო ფარდულში მომუშავე გამყიდველები სამუშაოდან მოვხსენით და პასუხისგებაში მივეცითო.

„უპატრონო სახლი"

„კომუნისტის" გასული წლის 14 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით: „უპატრონო სახლი".

სტალინის სახელობის რაისაბჭოს საცხოვრებელ სახლთა სამმართველოს უფროსი ამხ. ჩაჩანიძე გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტი მთლიანად დადასტურდა. სარემონტო კანტორას მიეცა სათანადო განკარგულება ჩამოთვლილი დეფექტების სასწრაფოდ აღმოფხვრისათვის.

ადამ მიცკევიჩი

ფარისი

ვითა ნავი მხიარული, მოწყვეტილი ცურვით ნაპირს,
მიეშვება ლურჯ ზედაპირს, მიენდობა ტალღათ ბროლებს,
და ზღვის წიაღს გადასარკულს ვნებით ნიჩბებს გადააყრის,
გედივით ყელმოღერებულს ტალღა უცბად გააქროლებს,—
ასე მოსწყდა არაბიცა ციცაბო კლდეს თავის რაშით
და უდაბნოს ჩაეხვია, გააშურა ცხენი ძორეთს;
ვით ფოლადი გადნობილი აშიშინდეს, შეკრთეს წყალში,
ისე ქვიშას ასდის ბული, სადაც რაში დაჰკრავს ტორებს.

და მშრალ ზღვაზე—აი—უკვე მიჰქრის ჩემი რაში ქინით,
გულმხურვალე ფხვიერ ტალღებს სცელავს იგი, ვით დელფინი

უფრო სწრაფად, უფრო სწრაფად,
ოდნავ გრძნობენ ტორებს გზები—
მაღლა, მაღლა, ისევ მაღლა;—
და მიჰყვება მტვრის სვეტს ზევით.

შავი არის ეგ ყორანი, ვით ღრუბელი ქარიშხალის,
შუბლს უნათებს ცის ვარსკვლავი, ვით შუქურას ბრწყინვალება,
როგორც ფრთებსა ფარშევანგი, ქარზე ლაღად ფაფარს აჰყრის,
ბზინავს მქროლავ მუხლებიდან ჩამოყრილი ელვარება.
გასწი, მფრინავო, მბზინავ ტორებით—
გზიდან ტყეები, გზიდან გორები!

გავუქროლებ მწვანე პალმას,
თავის ჩრდილში რომ მიმელის:
ვხედავ—პალმა ნაყოფს მალავს;
მას სირცხვილი სტანჯავს მწველი.

შეეფარა ოაზისსა და მალულად მის სიღრმიდან
მან ფოთლების ხმაურობით მიგმო ზრახვა, ბედისწერა.
ხოლო იქ კი, უდაბნოის განუსაზღვრელ კიდურიდან
ბედუინსა მომენთება კლდეთა თვალი ალმაცერად.

შენების ხმას აჰკრეფავენ ხმაურობით შორი კლდენი.
თან მომესმის მათი რისხვა და მუქარა გულის მტკენი.

„ეგ ვინ შმაგია, მგზავრი გვიანი!
დასწვავს ისრები მას წვეტიანი!
მზისგან არ არის მისი მფარავი
არც პალმა მწვანე ქოჩრებიანი
და არც წიაღი თეთრი კარავის.
დარჩა კარავად ცისა სიალე.
ღამის მთეველნი კლდენი მზარავი
და ცის მნათობნი მოხეტიალე".

ამაოა ეგ მუქარა!
რაშს შემოვკარ, მივქრი ჩქარა.
მოვიხედე და კლდეები,
ამაყთ გრძელი რიგეები—
დაიბურა, ჩრდილში გაჰქრა.
მიფრინავენ, არ დგებიან,
ურთიერთს ეფარებიან.

მელქორს ესმა ეგ მუქარა—და უგონომ დაიჯერა,
რომ ბედუინს ხელთ ჩაიგდებს უდაბნოში აქვე თავად.
დაჰკრა ფრთები—უკან მომდევს, რომ შეიძლოს აქ დაჭერა,
და ჩემს ზევით შემოუვლა მან წრე ფრთებით სამჯერ შავად.

„ვგრძნობ—ჰყივი ს—მძოვრსა ულევს,
ტაიჭს ბრიყვსა, მხედარს სულელს!
აქ ქვიშაში რას გააგნებს?
ცხენიც ველარ ჰპოვებს საკვებს!
მგზავრო! ცხენო! შრომა მოსცდა.
ვინ დაბრუნდა, ვინც აქ მოხვდა?
აქ ქართ დარჩათ ძრწოლა გზებზე.
თავის ქვალი თანვე მიაქვთ.
ცხენს რა ერგოს ამ ველებზე,
ქვემძრომებს რომ დარჩენიათ.
მძოვრნი ჰყრიან აქ ვერანნა
და დაძრწიან აქ ძერანი".

ძერამ ბრჭყალნი მომანათა, გამიელვა თვალწინ ახლა.
ჩვენ შევხედეთ ურთერთს სამჯერ, გავუყარეთ თვალი თვალსა—
და ვინ შეკრთა? ძერამ დასთმო, და გაფრინდა სწრაფად მაღლა!
და როს უნდა მომეკლა ის, ვუმზადებდი ბასრ ისარსა,
მოვიხედე და ჩემს უკან ვნახე ძერა მაღლა ცაზე:
შორით სჩანდა რუხ ლაქადა, დაკიდული ქარის ფრთაზე.
სიდიდით კი—ბეღურასა, პეპელას და კოღოს ჰგავდა.
ხოლო შემდეგ ცის ლაჟვარდში ის თანდათან სულაც დადნა.

გასწი, მფრინავო, მბზინავ ტორებით!
გზიდან—ტყეები! გზიდან—გორები!

აი ყომრალ ღრუბელს ვხედავ. სჩანს მზის ქვეშით გამოსული.
თეთრის ფრთებით დამედევნა ის მტრედისფერ კამარაზე.
ცის სიღრმეში მასაც ფრენა მოესურვა ისე გულით,
ვით მე მივქრი უდაბნოში დაუცხრომლად ამ ჩემს რაშზე.
ის ჩემს ზევით ჰქროდა წინა.—
და მუქარით დამისტვინა:

„შმაგი! რაშს სად მიაჭენებს?
სიცხე უწყლოდ ფერფლავს იქ გულს.
იქ ცა წვიმას არ აჩვენებს
შუბლს, უდაბნოს მტვრით შებურულს.

და არც თუ წყარო იმ ხრიოკ ველებს
ვერცხლის სიტყვებით გააცხოველებს,
მიწას ვერ აღწევს ნამი ძლიერი:
მას გზაშივე ნთქამს ქარი მშიერი"

მე შემოვკარ ტაიჭს უფრო!—ამაოა ეგ მუქარა!—
ვხედავ ღრუბელს, სივრცეში რომ ძლივს მიცოცავს, დაიღალა.
და მოიწევს დაბლა, ქვევით, აი—თავიც მან დაჰხარა—
შემდეგ თავზე კლდეთ დაერჭო იმ უდაბნოს დარაჯთ, მაღლა.
შემოვავლე ირგვლივ თვალი—და ამევსო ზიზღით გული:
აქ ჩვენ შორის უკვე მთელი ცის თაღია ამართული.
შავი ზრახვა იმის გულში გაემჟღავნა ბოროტ სახეს:
ვნახე—ბრაზის ცეცხლი სწვავდა, და შეეპყრო შურის ნაღველს,
ბოლოს, შავი, როგორც ლეში, ის დაადნა შორეულ ველს.

გასწი, მფრინავო, თეთრი ტორებით!
სვავნო, ღრუბელნო, გზა აშორებით!

მზეს შევხედე ახლა ცაზე,—
არეს ზვერავს ირგვლივ ხედვა:
არც აქ, არც დედამიწაზე
უკვე არვინ არ მომდევდა.
ბუნებას ჰფლობს აქ ღრმა ძილი,
არ უნახავს კაცის ჩრდილი.
სტიქია სდუმს სიჩუმეში,
ვითა სდუმან მხეცნი ტყეში,
რომელთ ხროვას აქ არასდროს
კაცის სახე არ დააფრთხობს.

ღმრეთო ჩემო! აქ ჩემამდე, სჩანს, ყოფილან კიდევ სხვები.
თეთრად ბზინვენ აქ ყრილები, გარს თხრილშემოვლებულები.
თუ ლანდია? ან ნადირი ჩაუსაფრდა იქნებ მსხვერპლთა?
საოცრად თეთრ ცხენებზე მსხდომთ ვმზერ თეთრ მხედართ საშინელთა
მივირბენ—არ ინძრევიან, ვუხმობ—და ხმას არვინ იღებს.
ვხედავ ლეშებს ძველ ქარავნის, ქარისაგან ამოთხრილებს.
ვხედავ მხედართ ჩონჩხებს, შემსხდართ ხერხემლებზე აქლემების.
ღრუდან, სადაც იყვნენ თვალნი, ღრუდან დამპალ იმ ლოყების
ილვრებოდა განუწყვეტლივ ქვიშის მღვრიე ნაკადული.
და მომესმა თავზედითი კვნესა—გმინვით მე ჩურჩული:
„ბედუინო უთავბოლო!
აქ გრიგალი დაჰქრის მხოლოდ!"

მივფრენ, აწ შიში უკვე ამცილდა.
გასწი, მფრინავო ქარიშხლის ფრთითა!
ლეშნო! გრიგალნო! აშორდით გზიდან!

უცბად ვხედავ აფრიკის ქარს, გრიგალს გამანადგურებელს.
მარტოდ-მარტო მძვინვარებდა და დაჰქროდა ქვიშიან ველს.
მან შორიდან დამინახა, შეჩერდა და ფიქრთ მიეცა.
დატრიალდა ერთ ადგილას, ბობოქრობდა. მე მომესმა:
„ეგ რომელი ბუქი არის—ჩემი უმცროს ძმათაგანი,
დაბლა მფრენი და, როგორც სჩანს, გარეგნობით დაბალ ტანის,—
ვით გაჰბედა აქ აფრენა, სად მე მერგო მეუფება?"
ღმუის და, ვით პირამიდა, ის ჩემსკენ მოიმართება.
და როს მნახა მომაკვდავი ქადნიერი, ეგრე მკვეთრი—
ბრაზით ფეხი დაჰკრა მიწას, შეარყია არაბეთი.
ვითა ჩიტსა მტაცებელმა, მან კლანჭები ღრმად ჩამშიდა.
ცეცხლის სუნთქვით მწვავდა იგი, შავი ფრთებით მტვერს მაყრიდა,
ხან ქარს ზევით გამატანდა, ხან მიწაზე მანარცხებდა.
და—ის იყო—ფრთებით საფლავს ქვიშის ზღვაში მიმზადებდა,
მაგრამ აღარ ვნებდებოდი. ვწევდი ბრძოლას მე თამამსა.
უცბად გორგლის ვწვდი ნაწილებს, დავეჭიდე ქვიშის ტანსა.
და კბილებით ვგლეჯდი იმას შმაგად და თავდავიწყებით.
გრიგალს სურდა ცად ავარდნა, დაჭერილსა ჩემის მხრებით.
ველარ შესძლო,—და შუაზე გადაუტყდა ტანი ფრთებით.
იხუვლა და ქვიშის წვიმად ციდან დაბლა ის დაეშვა,
ვით ზვინული ქალაქისა, ჩემს ფეხებთან გაწვა ლეშად.

შევისვენებ აქ ამაყად! თვალი ვარსკვლავთ გაეკიდა.
და სულ ყველა ვარსკვლავები—
თავიანთ ოქროს თვალებით
სათითაოდ მიმზერს ახლა ამ ადგილას მე ზეციდან.
ახლა რაკი უდაბნოში არვინ არის აწ ჩემს გვერდით,
რა ტკბილია დასვენება, სუნთქვა ლაღად, მთელის მკერდით!
მე ვისვენებ აქ სავსებით. აღარც მტვერი, აღარც მტერი.
არაბეთში დანაბერი
ძლიერსულა მყოფნის მე ჰაერი.
რა კარგია! აღარ ძლება თვალი ირგვლივ ქვეყნის მზერით!

განცვიფრებით უმზერს თვალი,
ისე მარბოლი, ისე მალი,—
რომ, მე ვფიქრობ, სივრცე ცისა კიდევ უფრო რომ გაღრმავდეს,
ვიდრე იგი წრეში არის, ჰორიზონტის გასცდეს ფარგლებს,
რა ხალისით გავშლიდი მხრებს ამ ფარგლებში, რა სიამით!
ვშლი კიდეცა! სინათლისკენ მივისწრაფი ჩემი სალმით.
და, მგონია, ფარგლებს, სად მზე დილით ავა, მწუხრზე ჰქრება,
ჩემს მკლავებში ჩავტევ მთელად და მკლავები სულ გასწვდება.
ჩემი აზრი ლაჟვარდ უფსკრულს აწ მიაპობს, ვით შურდული,
იწევს მაღლა, მაღლა, მაღლა,—ცის სივრცისკენ მიმართული.
ფუტკარი რომ ნესტარს ასობს იმ ნესტართან
გულსაც მარხავს,—
ასევ ფიქრებს, ცად ასულებს, ჩემი სულიც
უკან გაჰყვა!

თარგმანი პოლონურიდან **იასამანისა**

1821 წ. პეტერბურგი.

ა. მიცკევიჩი პოლონელთა უდიდესი პოეტი-კლასიკოსია (1798 — 1855 წ. წ.), სხვათა შორის, პუშკინის პირადი მეგობარი. პოლონეთის 1830 წ. აჯანყების შემდეგ, რომელიც მიმართული იყო თვითმპყრობელური რუსეთის პოლონეთზე ბატონობის წინააღმდეგ, საზღვარგარეთ ცხოვრობდა ემიგრანტად.

ა. მიცკევიჩი ავტორია მრავალი შესანიშნავი პოემისა და ლირიკული ლექსისა („პან ტადეუში", „ყირიმის სონეტები" და სხვ.).

პოემის „ფარისის" შესახებ ქართული მწერლობის ზოგიერთ წრეში ერთ დროს გავრცელებული იყო დაუსაბუთებელი აზრი, თითქოს ამ ლექსის გავლენით დაიწერა ნ. ბარათაშვილის „მერანი".

„ფარისი" ქართულად პირველად იბეჭდება.

რედ.

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

მეექვსე ტურის შედეგები

მეექვსე ტური განსაკუთრებით საინტერესო და დაძაბულ ბრძოლათა ტური იყო. პირველ რიგში აღსანიშნავია ილინ-ჟენევსკისა და პანოვის შეხვედრა. სიცილიურ პარტიაში ილინ-ჟენევსკიმ (თეთრებით) მოხერხებულად ისარგებლა პანოვის უმართებულო სვლით და ლაზიერის ფრთაზე უპირატესობა მოიპოვა. ჩქარა თამაში გადავიდა მეფის ფრთაზე, სადაც ილინ-ჟენევსკიმ ყველა თავისი ფიგურა გამოიყენა შავების დაშამათების კომბინაციისათვის. პანოვმა შესანიშნავად დაიცვა თავი და თანაც ლაზიერის ფრთაზე კონტრ-შეტევის შესაძლებლობა შექმნა. ილინ-ჟენევსკიმ დაშამათების მიზნით მოწინააღმდეგეს ჯერ კუ და შემდეგ ეტლი შესწირა, რამაც, როგორც მალე გამოირკვა, მას მხოლოდ ყაიმი მოუტანა.

ყაიმით დასრულდა აგრეთვე რაუზერ—რაბინოვიჩის პარტია.

მეტად რთული და საინტერესო თამაშის შემდეგ კან—გოგლიძის პარტია, რომელმაც არაერთი მოულოდნელობა მოუტანა მაყურებელს,—ყაიმით დასრულდა.

კასპარიანი მეექვსე ტურში შეხვდა ჩეხოვერს, რომელთანაც მას მოგებული აქვს მატჩი მაესტროს სახელწოდებაზე. როგორც მატჩის პარტიებში, ისე ამ დღესაც მათმა შეხვედრამ მეტად მწვავე და რთული პარტია შექმნა. პარტია გადადებულია კასპარიანისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

ებრალიძე — მაკაგონოვის პარტია გადაიდო დაახლოებით თანასწორ მდგომარეობაში. აღსანიშნავია, რომ ებრალიძემ, რომელმაც შუა თამაშში რამდენადმე უარესი მდგომარეობა მიიღო, ჩინებულად ითამაშა და მოახერხა მდგომარეობის გათანასწორება.

ალატორცევ—ლევენფიშის პარტია გადადებულია უკანასკნელისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

ბელავენეც—ბონდარევსკის და კონსტანტინოპოლსკი—ლილიენტალის პარტიები ყაიმით დასრულდა.

ლისიცინ—ბუდოს პარტია გადადებულია თანასწორ მდგომარეობაში.

რთული და საინტერესო ბრძოლის შემდეგ გადაიდო თუდოევი—რაგოზინის პარტია.

O

დღეს, 21 აპრილს, მეშვიდე ტურში ითამაშებენ:

რაბინოვიჩი—ალატორცევი, გოგლიძე — რაუზერი, პანოვი — კანი, რაგოზინი—ილინ-ჟენევსკი, ბუდო—იუდოვიჩი, ლილიენტალი —ბელავენეცი, მაკაგონოვი — კონსტანტინოპოლსკი, კასპარიანი—ებრალიძე, ბონდარევსკი—ლისიცინი და ლევენფიში—ჩეხოვერი.

◇

უძველესი ფულის აღმოჩენა

მდიგენის რაიონის სოფელ უდეში კოლმეურნე კაკოშვილმა ძველი ციხის ნანგრევების მახლობლად, ახალი საძირკვლისათვის მიწის გათხრის დროს იპოვა 29 ცალი ფული. აქედან ნაწილი ეკუთვნის მე-16 საუკუნეს. 28 ცალი თეთრი ფულია და ერთიც ოქროსი.

[illegible]იში ნაპოვნი ფული საყურადღებოა. ოქროს ფული არაბული წარწერით, ალბათ, თურქულია. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალთან არსებული ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის დოცენტ თამარ ლომოურს დაევალა უდეში აღმოჩენილი ფულის შესწავლა.



ბათუმის ბულვარის ერთერთი კუთხე
ფოტო დავიდოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

„კონსპექტი" გაუქმებულია

რსფს რესპუბლიკის განსახკომის მიერ გამოცემული და ქართულად გადმოკეთებული „კონსტიტუციის შესწავლის კონსპექტი" რომელიც გამოსცა საქ. განსახკომმა, ართულებს და აძნელებს სტალინური კონსტიტუციის შესწავლას, შეიცავს მთელ რიგ არსებით დამახინჯებებს, მიუღებელია სტალინური კონსტიტუციის სწავლებისათვის.

განსახკომის 11 აპრილის ბრძანებით „კონსტიტუციის შესწავლის კონსპექტი" ამოღებულია ხმარებიდან.

ყველა სკოლის დირექტორსა და კონსტიტუციის მასწავლებლებს განემარტა, რომ სტალინური კონსტიტუციის შესწავლისათვის ურყევად იხელმძღვანელონ ამხანაგ სტალინის მოხსენებით სსრ კავშირის საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობაზე, სსრკ და საქ. სს რესპუბლიკის კონსტიტუციებით. დანარჩენი მასალები (სიტყვები ყრილობაზე, სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, ბროშურები და სხვ.) მასწავლებლობამ უნდა გამოიყენოს ცალკეული საკითხების გაშლის, ახსნა-განმარტებისათვის, როგორც დამხმარე მასალა.

განსახკომმა განმარტა აგრეთვე, რომ კონსტიტუციაში ცალკე ნიშანი არ იწერება. საბჭოთა კავშირისა და საქართველოს კონსტიტუციების შესწავლა უნდა ხდებოდეს პარალელურად, ბელადის მოხსენების სათანადო თავებთან დაკავშირებით. კონსტიტუციის სწავლებისათვის განკუთვნილი საათები (მე-7 კლასში 2 საათი შრომისა და საზმეცნიერებო ხარჯზე, ხოლო მე-8, მე-9 და მე-10 კლასებში ორ-ორი საათი ისტორიის ხარჯზე) უცვლელად რჩება და მთელი გასავლელი მასალა ამ დროის ფარგლებში უნდა მოექცეს.

კოლონადა ბათუმის ბავშვთა კულტურისა და დასვენების პარკში.
ფოტო აჭარის სახელმწიფო ფოტოგრაფიისა

ილია ჭავჭავაძის იუბილე სკოლებში

დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავ იუბილეში მონაწილეობის მისაღებად სკოლები ამუშავებენ კონკრეტულ გეგმას.

განათლების სახ. კომისარიატი გამოსცემს ჟურნალის „კომუნისტური აღზრდისათვის" სპეციალურ ნომერს, სადაც გაშუქებული იქნება ილიას შემოქმედების სკოლებში შესწავლის საკითხები. იუბილესათვის მზადების პერიოდში მოწაფეთა და მშობელთათვის სკოლებში მოეწყობა მასწავლებელთა მოხსენებები ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. მოსწავლეთა წრეებში და კლასგარეშე მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მოწაფეთა ფართოდ და სერიოზულად გაცნობას ილიას ნაწარმოებებთან, მათს განხილვა - შესწავლას. უფროსი კლასების მოსწავლენი წაიკითხავენ რეფერატებსა და მოხსენებებს ილიას ნაწარმოებთა შესახებ. სკოლებში გამოიცემა ილიასადმი მიძღვნილი ჟურნალები და ალბომები. მოწაფეთა სახვითი ხელოვნების წრეებში გაიშლება მუშაობა ილიას ნაწარმოებთა საუკეთესოდ დასურათებისათვის, ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების ასახვისა და პორტრეტების დამზადებისათვის.

მუსიკალურ წრეებში და მომღერალთა გუნდებში შესწავლილი იქნება ილიასადმი მიძღვნილი და ილიას ლექსებზე დაწერილი სიმღერები, პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი გამოსცემს წიგნს სადაც გაშუქდება ილიას პედაგოგიური შეხედულებანი.

განსახკომმა განათლების განყოფილებებსა და სკოლებს დაავალა შეავსონ სკოლის ბიბლიოთეკები ილიას ნაწარმოებებით და ილიას შესახებ გამოცემული უახლესი ლიტერატურით, შეიძინონ სკოლებისათვის ილიას პორტრეტები და ბიუსტები. პედაგოგიური მუშაობის ორგანიზაციის კაბინეტი გამოსცემს პლაკატს ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

იუბილეს ჩატარების დღეებში მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთათვის სკოლებში მოეწყობა მხატვრული დილები (უმცროს მოწაფეთათვის) და საღამოები (უფროსთათვის).

◇

თეატრების მშენებლობა და რემონტი

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან დაარსდა სამშენებლო-ტექნიკური ბიურო მთავარი ინჟინერის შ. ნ. ვარნაძის მეთაურობით.

ბიუროს ფუნქციებს შეადგენს: კონტროლის გაწევა თეატრების, კინოთეატრებისა და სხვა მშენებლობაზე, მშენებლობის დაგეგმვა, მშენებლობათა უზრუნველყოფა მასალით და სხვ.

ამჟამად ბიუროს ხელმძღვანელობით თბილისში აშენებენ „მსახიობის სახლს" საბჭოთა კავშირის გმირთა მოედანთან, ახალ ცირკს, სახელმწიფო კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზს და ხდება ამ კონსერვატორიის შენობის რეკონსტრუქცია, აგრეთვე აშენებენ პირველი მუსიკალური სასწავლებლის შენობას. ბიურო ხელმძღვანელობს თეატრების მშენებლობას გორსა და ქუთაისში.

ბიურო განაგებს აგრეთვე ყველა თეატრის რემონტს.

ხელოვნება

„შემოდგომის აზნაურები" ლანჩხუთის სახელმწიფო თეატრში

ლანჩხუთის სახელმწიფო თეატრის სეზონი მიმდინარე წლის 28 თებერვალს გაიხსნა. თეატრმა უკვე მოგვცა სამი კარგი დადგმა. პირველი პრემიერა, რომლითაც სეზონი გაიხსნა, შ. დადიანის „ნინოშვილის გურია" იყო. იგი ცხრაჯერ განმეორდა და დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. მეორე პრემიერად წავიდა „ნაბიჭვარი", ხოლო მესამედ—ს. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურები".

სოლომონ მორბელაძე, რომლის როლს ივ. აბაშიძე ასრულებს, დამაჯერებლად გვიხატავს გაიძვერა აზნაურის ტიპს. პიესა შემდეგნაირად თავდება: სცენაზე მოსჩანს მოჯამაგირის მიერ გათხრილი სასაფლაო. გარიყული თავადაზნაურები გამოდიან და თავთავის სამარეს აირჩევენ.

ეს ხერხი ორიგინალურია და ამართლებს პიესის მიზანს.

რეჟისორ-დამდგმელს დიდი მუშაობა გაუწევია, რათა მასობრივი სცენები მთელი სისრულით მოეცა. განსაკუთრებით კარგია კაროჟნას (მსახიობი აღლაძე) შეხვედრის სცენა.

შემსრულებელთა შორის აღსანიშნავია მსახიობი ი. ებრალიძე, რომელმაც კარგად განასახიერა დარისპანის როლი. ახალგაზრდა მსახიობმა ნ. იმნაძემ ორიგინალურ ფორმებში ჩამოაყალიბა ქარაფშუტა ოსიკოს ტიპი. მისი თამაში განუწყვეტელ სიცილს იწვევს.

საერთოდ თეატრის მთელი კოლექტივი მოწოდების სიმაღლეზე დგას. მიუხედავად იმისა, რომ დასის დიდი ნაწილი ახალგაზრდა ძალებისაგან შესდგება.

მაგრამ ზემოთქმულიდან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ წარმოდგენები უნაკლო იყოს. ლანჩხუთის თეატრის კოლექტივს დიდი მუშაობა მართებს იმისათვის, რომ რიგიანად დაეუფლოს თანამედროვე საბჭოთა თეატრის კულტურას.

„შემოდგომის აზნაურები" გაფორმებულია ახალგაზრდა მხატვარი—ქალის ირ. ცქვიტინიძის მიერ. მუსიკა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. ტუსკიას. დეკორაციები დამზადებულია კოლმეურნე ბიქტორ ლორიას მიერ.

შ. მ—ძე

◇ ◇ ◇

ხელოვნების მუშაკთა კავშირში

19 აპრილს შესდგა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა თბილისის სახელმწიფო ცირკში 11 აპრილს კონცერტის ჩაშლის საკითხი.

თათბირზე გამოირკვა, რომ საღამოს მომწყობმა კომისიამ დაუშვებელი გულგრილობა გამოიჩინა. კომისიას მსახიობთა უმრავლესობა არ გაუფრთხილებია, რომ ამ ამხანაგებს მონაწილეობა მიეღოთ ხსენებულ კონცერტში (სალარაძე, ჯაფარიძე, გომელაური, ელურიძე, მარტინოვა და სხვ.), ხოლო ზოგიერთი მსახიობისაგან (ზრაგინი) კონცერტში მონაწილეობაზე კატეგორიული უარი მიიღო. მიუხედავად ამისა, საღამოს მომწყობმა კომისიამ ეს ამხანაგები მაინც გამოაცხადა კონცერტის პროგრამაში, რის გამო მოხდა ის, რომ მსახიობთა უმრავლესობა არ გამოცხადდა კონცერტზე, რამაც მაყურებელთა სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია.

პრეზიდიუმმა ამ საკითხზე გამოიტანა დადგენილება, რომლითაც დაუშვებლად სცნო საღამოს მომწყობი კომისიის ასეთი უპასუხისმგებლო მოქმედება. მსახიობთა თანხმობის მიუცემლად მათი პროგრამაში შეტანისათვის ამხ. არუთინოვს გამოუცხადა საყვედური, ხოლო ცირკის დირექტორს ამხ. გამსახურდიას და მის მოადგილეს ტადეს მიუთითა კონცერტისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე.

ახლო მომავალში თბილისში მოეწყობა ბავშვთა ფეხბურთის გუნდების შეჯიბრება. ამჟამად გუნდები გაცხოველებით ემზადებიან შეჯიბრებისათვის. სურათზე: საბავშვო გუნდის „განთიადის" თავდამსხმელები პ. ბერტაშესი, რ. კაპანელი, ა. შაფათავა, გ. ფორაქიშვილი და მ. მგალობლიშვილი.
ფოტო ლიძეს („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

სასამართლო

„დ ე დ ა"

დიდხანს იგლოვა ლექსო გოგოლაძემ ცოლი, მაგრამ რა ექნა! შვიდი წლის ბიჭიკოს მოვლა-პატრონობა უნდოდა. საათივით აწყობილ ოჯახს ხომ არ დაანგრევდა. თვითონ კოლმეურნეობაში და სახლში მუშაობას ვერ აუდიოდა. ამიტომ გადასწყვიტა ცოლის შერთვა და ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბოლოკიანის მცხოვრებს მარო არუთინოვას დაუახლოვდა.

— ახალგაზრდა ქალია, ბავშვს გამიზრდის, ოჯახს მიხედავს, მე კოლმეურნეობაში ვიმუშავებ და ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო, — ფიქრობდა ლექსო. მალე განზრახვა სისრულეში მოიყვანა. შეირთო მარო არუთინოვა, მაგრამ დედინაცვალმა აითვალწუნა ბიჭუნა. დილით გოგოლაძე კოლმეურნეობაში წავიდოდა თუ არა, არუთინოვა ბავშვს სახლიდან გააგდებდა.

— შე არ გასაზრდელო, შენა, რას მიგდიხარ სახლში, გაეთრიე გარეთ. არ დამენახო, თორემ მოგკლავ!—ცოფმორეული დედინაცვალი ამ სიტყვებით მოიგდებდა ბავშვს ფეხ ქვეშ და უმოწყალოდ სცემდა. ბავშვის კივილი ქვასაც ატირებდა. მეზობლები შეწუხებული ჰყავდა არუთინოვას.

— დედინაცვალი, თვალში ნაცარიო, სწორედ ამაზეა ნათქვამი, — ამბობდნენ მეზობლები.

— ქვის გული ხომ არა აქვს ამ ოჯახქორს, ასე რომ სცემს ბავშვსა!—იტყოდა მეზობლის ქალი და გადმოვიდოდა ბავშვის საშველად. არუთინოვა ცოფსა ჰყრიდა, იგინებოდა, სწყევლიდა ბავშვის გაჩენის დღეს, და მანამდე სცემდა, სანამ მეზობელი არ გამოჰგლეჯდა ხელიდან ცოცხალმკვდარ ბიჭიკოს. კიდევ მეტი. დედინაცვალი საჭმელსაც არ აძლევდა გერს, ჩაჰკეტავდა შკაფში პურს და გასაღებს ჯიბეში ჩაიხვევდა. მამის შინ მოსვლამდე ბავშვი უჭმელ-უსმელი იყო.

— რა მოგივიდა, ქალო, რას ერჩი ამ ერთციდა ბავშვს, რა დაგიშავა!— უსაყვედურებდა ლექსო ცოლს, მაგრამ გულქვა ქალთან ვერაფერმა გასჭრა. გავიდა დღეები. ბავშვი ჩამოხმა, ჩამოჭკნა. ამ მდგომარეობამ გოგოლაძე ჩააფიქრა. ერთ დღეს მამას შინ ატირებული შვილი რომ დახვდა, გული დაეწვა და შეუტია ცოლს. ქმარს არაფერი გაუვიდა გაბოროტებულ ცოლთან და იძულებული გახდა ბავშვი ნათესავისათვის მიებარებინა.

დედინაცვალმა რაკი გერი თავიდან მოიშორა, დამშვიდდა, ოჯახში კარგად მუშაობდა და ქმარსაც პატივისცემით ეპყრობოდა. შარშან ნოემბერში მარო არუთინოვას შვილი შეეძინა. დედა ერთხანს კარგად ეპყრობოდა საკუთარ შვილს. მშობლების ალერსში ბავშვი გასუქდა, გაიფურჩქნა.

— მარგალიტივით ბავშვი ჰყავს მარო მარგალიტივით! ეუბნებოდნენ მეზობლები და მაროც კმაყოფილებით გაიღიმებდა ხოლმე.

29 მარტს, როცა ლექსო გოგოლაძე შინ არ იყო, მარო არუთინოვამ საკუთარი შვილი ყელში ხელის მოჭერით დაახრჩო. ეს ამბავი პირველად მეზობლის ბავშვებმა გაიგეს და თავიანთ მშობლებს შეატყობინეს.

O

ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლომ ამ დღეებში გაარჩია ულირსი დედის მარო არუთინოვას საქმე. მას მიუსაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორებით ბანაკში გადასახლებით და სასჯელის მოხდის შემდეგ სამი წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

ქ. ბიაძე

◇

ა მ ი ნ დ ი

პირველი თბილი დღე

ხანგრძლივი აცივებისა და მას შემდეგ, რაც ამას წინათ საქართველოზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადაიარა სიცივის ტალღამ, 18 აპრილიდან დათბა.

დასავლეთ საქართველოში მაქსიმალური ტემპერატურა ამ დღეს 16 გრადუსი იყო (ქუთაისში) და მინიმალური—პლიუს 5 გრადუსი (წიფა). აღმოსავლეთ საქართველოში უარყოფითი ტემპერატურა იყო მხოლოდ გუდაურში (მინუს 1 გრადუსი).

თბილისში 19 აპრილს დღისით სითბო 20 გრადუსი იყო ჩრდილში.

O

ტემპერატურის აწევისა და თოვლის დნობის შედეგად მტკვრისა და რიონის დონემ იმატა: 17 აპრილს მტკვრის დონე (თბილისი) 182 სანტიმეტრს უდრიდა, 19 აპრილს კი—186 სანტიმეტრს; რიონის დონე (ონთან) იყო 218 სანტიმეტრი, ახლა კი 230 სანტიმეტრია (საქდესი).

◇

ა ხ ა ლ ი ა მ ბ ე ბ ი

● წელს საქართველოში შენდება 123 ახალი სასოფლო სკოლა 32.149 მოსწავლისათვის. სკოლების აგება დაჯდება 6.706 ათასი მანეთად.

● აჭარაში დამთავრდა ტუნგოს დარგვა. სულ გაშენებულია 932 ჰექტარი ტუნგოს ახალი პლანტაციები.

● საქართველოს ჩაის ფაბრიკები წელს გადაამუშავებენ 24,5 მილიონ კილოგრამ ჩაის ფოთოლს და გამოუშვებენ 5.894 ტონა ჩაის.

◇

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ ი

შოფერის ბოროტმოქმედება. 19 აპრილს, საღამოს 11 საათზე, დიდი სისწრაფით მიმავალი საბარგო ავტომანქანა № 58—62, რომელსაც მართავდა შოფერი პ. ნ. ერმაკოვი, ახალ სანაპირო ქუჩაზე შეიჭრა წითელარმიელთა კოლონაში. ორი წითელარმიელი — დიდებულიძე და გრიგორიანი მძიმედ დაშავდა. დაშავებულები ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტში მოათავსეს. შოფერი ერმაკოვი დაპატიმრებულია. სწარმოებს სასწრაფო გამოძიება.

მძარცველების დაპატიმრება. 18 აპრილს ღამით მილიციის პირველი განყოფილების საუბნო ინსპექტორმა ამხ. სურმავამ მილიციის სხვა მუშაკებთან ერთად რაიონის შემოვლის დროს შრომის ქუჩაზე შენიშნა ჯგუფი უცნობთა, რომლებიც „თბილმრეწვავაჭრობის" № 116 მაღაზიის წინ იდგნენ. უცნობნი შეიპყრეს. ყველა ისინი პროფესიული ბოროტმოქმედნი აღმოჩნდნენ, რომლებიც რამდენჯერმე იყვნენ გასამართლებულნი სხვადასხვა სისხლის სამართლის დანაშაულისათვის. ესენი არიან: შ. მ. ნაცვლიშვილი, გ. გონაშვილი, ა. გ. კვირიკაშვილი, გ. მ. წიკლაური და ა. გ. გოგუშენიძე. დაპატიმრების დროს მათ აღმოაჩნდათ ნაგანის სისტემის რევოლვერი საბრძოლო ვაზნებით და ფინური დანა. როგორც გამოირკვა, მათ განზრახული ჰქონდათ მაღაზიის გატეხა. ბოროტმოქმედნი სამართალში მისცეს.

ობლიგაციების შემსყიდველთა ბრბო

სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო სახელმწიფო სესხთა ობლიგაციების შემსყიდველთა ბრბო, რომელიც 26 კომისრის სახელობის რაიონის შემნახველ სალაროში მოქმედებდა. ბრბოში შედიოდნენ: გ. ი. ასაკაშვილი, ს. ს. კარაპეტიანი, ა. ა. გაგნიაშვილი, ი. ი. მამაჯანოვი და ა. მ. ამირხანოვი. აღნიშნული პირები სისტემატურად ყიდულობდნენ მოქალაქეთაგან ობლიგაციებს შემცირებულ ფასში და შემდეგ აგირავებდნენ შემნახველ სალაროში სხვადასხვა შეთხზულ გვარზე. ამ კომბინაციით სპეკულანტები თვითეულ 100-მანეთიან ობლიგაციაზე იგებდნენ 3-5 მანეთს. მოკლე დროის განმავლობაში სპეკულანტებმა დააგირავეს რამდენიმე ათეული ათასი მანეთის ობლიგაცია. ჩხრეკის დროს მათ აღმოაჩნდათ გირაოს ქვითრების დიდი რაოდენობა სხვადასხვა გვარზე.

სპეკულანტ კარაპეტიანს, მაგალითად, უპოვეს ქვითრები მარტიროსიანის სახელზე. სპეკულანტი მამაჯანოვი ობლიგაციებს აგირავებდა იდანეზოვის, სარქისოვის, როსტომაშვილისა და სხვათა გვარით. ამირხანოვი ხშირად აგირავებდა კარკუჩიანის გვარით.

სპეკულანტების მიერ დაგირავებული ობლიგაციების საერთო თანხა შეადგენს 40 ათას მანეთს. მთელი ბრბო დაპატიმრებულია. გამოძიება სწარმოებს.

◇

წერილი რედაქციას

პატივცემულო რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გადავუცხადო პარტიას, მთავრობას და ყველა იმ ორგანიზაცია - დაწესებულებას და პირებს, ვინც მონაწილეობა მიიღო ჩემი 50 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავ დღესასწაულში.

ელ. ჩერქეზიშვილი
რესპ. სახალხო არტისტი

◇

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომი წინადადებას აძლევს შალვა ვარდენის-ძე რუხაძეს ხუთი დღის ვადაში გამოცხადდეს მახარაძის რაიკომში.

O

საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომი აცხადებს: პარტბილეთი № 1534380, გაცემული ხაშურის რაიკომის მიერ ნიკოლოზ სოლომონის-ძე ჯიოშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ზრ. მუშიშვილი.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომი იუწყება, რომ 1937 წ. 22 აპრილს მოწვეულია
XIV რაიონული პარტკონფერენცია
დღის წესრიგი:
1. რაიკომის საანგარიშო მოხსენება და სარევიზიო კომისიის თანამოხსენება.
2. რაიკომისა და სარევიზიო კომისიის და თბილისის საქალაქო პარტკონფერენციაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები.
კონფერენციის სხდომები ექნება კულტურის და დასვენების პარკის შენობაში (ყოფ. მუშტაიდი), პლეხანოვის პროსპ., 184.
სხდომის დასაწყისი საღამოს სრულ 6 საათზე.

ვ. სუხოვი

ბოროტმოქმედების აღმოჩენის მეცნიერულ-ტექნიკური მეთოდები

ყოველი ბოროტმოქმედება რაიმე კვალს სტოვებს: ბოროტმოქმედმა ან ხელი შეახო რაიმე ნივთებს, ან ჭრილობა მიაყენა თავის მსხვერპლს, ან დოკუმენტები გადაასწორა და სხვ. საჭიროა, ბოროტმოქმედების ეს კვალი, ზოგჯერ ოდნავ შესამჩნევი, არ გავაფუჭოთ ანდა არ მოვსპოთ იმ მომენტამდე, სანამ ბოროტმოქმედების ადგილის დაწვრილებითი შესწავლა მოხდებოდეს. ქვემოთმოყვანილი შემთხვევა გვიჩვენებს, თუ რამდენად ძვირფასი შედეგები შეუძლიან მოგვცეს ბოროტმოქმედების ადგილის დათვალიერებამ და იქ ნაპოვნი ნივთიერი საბუთებისადმი სწორად მიდგომამ.

თბილისის ერთერთ დაწესებულებაში ცეცხლგამძლე ყუთიდან გაიტაცეს დიდი თანხა. ქურდობა მოხდა ღამით, ბოროტმოქმედმა სინათლე აანთო. მკაფიო სინათლეს რომ არ გაეცა ბოროტმოქმედი, მან მოხსნა მძლავრი ელნათურა და მის მაგივრად პატარა გაუკეთა, რომელიც ძლიერ სუსტ შუქს აფრქვევდა. ქურდობის ადგილის დათვალიერებისას ელნათურაზე აღმოაჩინეს ბოროტმოქმედის თითის უფერული ანაბეჭდი. ქურდობაში ეჭვი ედებოდა რამდენიმე კაცს, მაგრამ სერიოზული დამამტკიცებელი საბუთები მათ წინააღმდეგ არ არსებობდა. გამოძიების ორგანოებს დახმარება გაუწია „უსიტყვო მოწმემ" — ელნათურაზე აღმოჩენილმა თითის ანაბეჭდმა. როდესაც ეს ანაბეჭდი შეადარეს ეჭვით დაპატიმრებული პირების თითის ანაბეჭდებს, აღმოჩნდა, რომ ეს ანაბეჭდი ეკუთვნის ერთერთ ეჭვმიტანილს ხარლამპოვს *) და მისი მარჯვენა ხელის ცერის ანაბეჭდს წარმოადგენს.

ამ უდავო დამამტკიცებელი საბუთის საფუძველზე ხარლამპოვი მხილებულ იქნა და მას სათანადო სასჯელი მიეზღო.

რატომ არის ქურდობის ადგილზე აღმოჩენილი თითის ანაბეჭდი უდავო საბუთი?

ადამიანს ხელისა და ფეხის თითის კიდურებზე შიგნითა მხრიდან აქვს კანის მოხაზულობა რომელიც ცალკეულ სხვადასხვაგვარად გაფანტული ხაზებისაგან შესდგება. მრავალრიცხოვანი მეცნიერული გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ კანის ეს მოხაზულობა არ იცვლის ფორმას ადამიანის მთელი სიცოცხლის განმავლობაში და დედამიწის ზურგზე მცხოვრებ ადამიანთა შორის არ მოიძებნება ორი ისეთი ადამიანი, რომელთა კანის მოხაზულობა აბსოლუტურად ერთნაირი იყოს. მეცნიერებას, რომელიც ამ საკითხებს სწავლობს, დაქტილოსკოპია ეწოდება. თითის კანის მოხაზულობის ამ თვისებათა საფუძველზე არსებობს ბოროტმოქმედთა დაქტილოსკოპიური რეგისტრაციის სისტემა. მისი დახმარებით ყოველთვის შეუმცდარად შეიძლება გამოვიცნოთ ბოროტმოქმედი, ვინც ერთხელ მაინც იყო რეგისტრაციაში გატარებული ამ სისტემით, როგორც უნდა ცდილობდეს ის სხვად მოგვაჩვენოს თავი.

ბოროტმოქმედების გახსნის საქმეში საპატიო ადგილი უჭირავს ქიმიას და მედიცინას. მკვლელობის საქმეთა გამოძიების დროს ხშირად საქმე გვაქვს სხვადასხვა ლაქასთან. საჭირო ხდება გამორკვევა იმისა, სისხლისგან წარმოიშვა ეს ლაქა თუ სხვა რამისაგან. საქმე იმაშია, რომ სისხლის ლაქა მზის სხივებისა და ატმოსფერულ მოვლენათა ზეგავლენით მალე იცვლის თავის პირვანდელ წითელ ფერს და სხვა სახეს იღებს, რის გამო შეუძლებელი ხდება სისხლის ლაქის გამორჩევა სხვა რაიმე ლაქისაგან. ამავე დროს ლაქის ხასიათის ზუსტად განსაზღვრას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბოროტმოქმედების გახსნისათვის.

1936 წლის ივნისში თბილისში ყოფ. ხოჯევანქის სასაფლაოს მახლობლად იპოვეს ახალგაზრდა ქალის გვამი. გვამს აჩნდა დანის რამდენიმე ჭრილობა. გვამის მახლობლად მიწაზე გაფანტული იყო სისხლის მრავალი წვრილი ლაქა, ასე რომ სავსებით შესაძლებელი იყო, რომ მკვლელის ტანსაცმელზეც სისხლის ასეთივე კვალი დარჩენილიყო. ამ მკვლელობაში ეჭვი ედებოდა მოქ. მატვეევს, რომლის წინააღმდეგაც არსებობდა ზოგიერთი არაპირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი. მატვეევის ბინის გაჩხრეკის დროს იპოვეს შარვალი და ხალათი, რომლებსაც სისხლის წვრილი ლაქები აჩნდა. მაგრამ ამ ლაქების მიკროქიმიურმა გამოკვლევამ უდავოდ დაამტკიცა, რომ თუმცა ეს ლაქები სისხლისაა, მაგრამ წარმოშობილია არა ადამიანის სისხლისაგან, არამედ ცხვრის სისხლისაგან. ამრიგად, სამეცნიერო-ტექნიკურმა ექსპერტიზამ არ დაადასტურა გამოძიებით მოპოვებული ცნობები და მოქ. მატვეევი გამართლებულ იქნა. მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ბოროტმოქმედება გაიხსნა და ნამდვილი მკვლელიც დააპატიმრეს.

O

დიდ დახმარებას უწევს საგამომძიებლო ორგანოებს მედიცინის სპეციალური დარგი, რომელსაც „სასამართლო მედიცინა" ეწოდება. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა აშუქებს გამოძიების ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის, მაგალითად, დრო მკვლელობისა, სიკვდილის უშუალო მიზეზი, რა იარაღით არის ჩადენილი ბოროტმოქმედება, ფიზიკური დაზიანებათა სიმძიმის, ასაკის, სიმთვრალის ხარისხის გამორკვევა და სხვ.

ერთხელ სისხლის სამართლის მილიციაში გამოცხადდა მოქ. პეტროსიანი, რომელმაც განაცხადა, რომ იარაღის გაუფრთხილებლად ხმარების დროს შემთხვევით მოკლა თავისი ამხანაგი მოქ. აკოფოვი. უბედური შემთხვევის იმ სურათიდან, რომელიც პეტროსიანმა დახატა, აშკარა იყო, რომ გასროლა უნდა მომხდარიყო არანაკლებ 10 მეტრის მანძილიდან. მაგრამ მოკლულის ჭრილობისა და მისი ტანსაცმლის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ გამოარკვია, რომ ამ შემთხვევაში გასროლა იყო ახლო მანძილიდან. ამით გაბათილებულ იქნა პეტროსიანის ვერსია შემთხვევითი გასროლის შესახებ. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების წარდგენის შემდეგ პეტროსიანი გამოტყდა დანაშაულში. გამოირკვა, რომ მან პირადი ანგარიშის ნიადაგზე მოჰკლა აკოფოვი.

ხშირად სისხლის სამართლის საქმეებში ნივთიერი საბუთების როლს ასრულებენ ხელნაწერები და დოკუმენტები. ნაწერის გამორკვევას ექსპერტიზის სხვა სახეებთან ერთად ერთერთი პირველი ადგილი უჭირავს და ფრიად ძვირფას მასალას იძლევა ბოროტმოქმედის გამოსამჟღავნებლად.

„ინუმშენის" სეზონური მუშების პასპორტების სახლის წიგნში ჩაწერის დროს მილიციის მუშაკებს ეჭვი გამოიწვია ერთერთი მუშის — პოტაპოვის პასპორტმა. სათანადო გამოძიებით გამოირკვა, რომ პოტაპოვის პასპორტი თავდაპირველად გაცემული იყო სხვა პირზე, რის შემდეგაც მთელი ტექსტი წაუშლიათ ქიმიური ნივთიერებით და პასპორტი კვლავ შეუვსიათ პოტაპოვის სახელზე. პოტაპოვს გამოუძახეს სისხლის სამართლის მილიციის სამეცნიერო - ტექნიკურ განყოფილებაში, სადაც მას ჩამოართვეს მისი ხელის რამდენიმე ნიმუში. გრაფიკულმა ექსპერტიზამ გამოარკვია, რომ პასპორტის ახალი ტექსტი თვით პოტაპოვის მიერ იყო დაწერილი.

როდესაც პოტაპოვს ექსპერტიზის შედეგები წარუდგინეს, ის გამოტყდა დანაშაულში. გამოირკვა, რომ მას მკვლელობისათვის მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, და გამოქცეული იყო საპატიმრო ადგილიდან.

მაგრამ ძალიან ხშირად ბოროტმოქმედების ადგილზე არ რჩება ბოროტმოქმედების კვალი და ადამიანის ცოდნის გამოყენება ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება.

ასეთ შემთხვევებში ადამიანს ეხმარება მსახურ — მაძებარი ძაღლების ყნოსვა. ამგვარ ძაღლებს შეუძლიათ ბოროტმოქმედის აღმოჩენა დატოვებული „უხილავი კვალის" სუნის მიხედვით. საქმე იმაშია, რომ ადამიანის სხეულის ზედაპირი მუდამ გამოჰყოფს ორგანიზმისათვის უსარგებლო სხვადასხვა ნივთიერებას, როგორიც არის ოფლი, ქონი და სხვ. ამ ნივთიერებებს საკმაოდ ძლიერი სუნი აქვთ, რომელიც კარგახანს რჩება იმ ადგილას, სადაც ადამიანი იყო. ამ დატოვებული სუნის მიხედვით მსახურ—მაძებარი ძაღლი პოულობს სწორედ იმ პირს, რომელმაც ეს სუნი დასტოვა. ეს სუნი იმდენად ინდივიდუალურია, რომ მაძებარ ძაღლს შეუძლიან მოძებნოს და „იცნოს" ადამიანი, რომელმაც ეს სუნი დასტოვა იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ის დიდ ბრბოში გარეული. მსახურ—მაძებარი ძაღლების დახმარებით მრავალი რთული ბოროტმოქმედება იქნა გახსნილი.

ამრიგად, ზემონათქვამიდან ჩანს, რომ როგორც კრიმინალისტის, ისე მსახურ-მაძებარი ძაღლის მუშაობისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ხელუხლებლად დარჩეს ბოროტმოქმედების ადგილი. სამწუხაროდ, ეს მნიშვნელოვანი პირობა ძალიან ხშირად არ სრულდება. მილიციის მუშაკებს, რომლებიც მიდიან ბოროტმოქმედების ადგილას, უმეტეს შემთხვევაში იქ ხვდებათ დიდძალი ხალხი: თვით დაზარალებულნი, მოწმეები, მეზობლები და ზოგჯერ უბრალო ცნობისმოყვარეები. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევებში ბოროტმოქმედების ადგილზე დატოვებული კვალი, როგორც ხილული, ისე „უხილავი", ფუჭდება ანდა სრულიად ისპობა, რაც ძლიერ ართულებს ბოროტმოქმედების გახსნის საქმეს.

აქედან ყოველმა მოქალაქემ უნდა დაიხსომოს და ყოველთვის დაიცვას ორი ძირითადი პირობა: ხელუხლებლად დასტოვოს ბოროტმოქმედების ადგილი და დაუყოვნებლივ აცნობოს მომხდარი შემთხვევა მილიციის ორგანოებს. ამ პირობების დაცვით მოქალაქენი დიდ დახმარებას გაუწევენ ბოროტმოქმედების გახსნის საქმეს.

O

ყოველწლიურად მცირდება ჩვენში ბოროტმოქმედებათა რაცხვი. დანაშაულის ზოგიერთი სახე უკვე სავსებით მოისპო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოროტმოქმედებათა აღმოჩენის პროცენტი.

საბჭოთა საზოგადოებრივობის აქტიური დახმარება კიდევ უფრო გაადიდებს ბოროტმოქმედებათა აღმოჩენის პროცენტს. მოქალაქეთა დახმარება თავიდან აგვაცილებს მრავალ ბოროტმოქმედებას.

◆

---

*) აღწერილ შემთხვევაში, ისე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეების მონაწილე პირების გვარი შეცვლილია.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

21-IV	დ ა ი ს ი
22-IV	ევგენი ონეგინი

დასაწყისი სრულ 8 საათზე.
19 აპრილის წარმოდგენა ტრავიატა სახ. არტ. ვ. ა. სტეპანოვას მონაწ. გადადებულია 28 აპრილისათვის. ბილეთები ძალაშია. 22 აპრილიდან წარმოდგენები დაიწყება 8 ს. 30 წ.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

21-IV	ა ლ ქ ა ზ ა რ
22-IV	ა ლ ქ ა ზ ა რ

დასაწყისი საღ. 8 საათზე.
სეზონის გაგრძელების გამო ვადაგასული მუდმივი ადგილების ხელშეკრულებების განახლება შესაძლებელია იმავე ადგილებზე 1-ლ მაისამდე.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

21-IV წარ. № 154	იაკო რიქინაშვილი
22-IV წარ. № 155	ფუენტე ოვეხუნა

დღეს საქკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვ. მხატვრ. ფილმი ბალტიკის დეპუტატი
დამკვრელი 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფილმი პარიზის რიჟრაჟი
კომკავშირელი 6, 7-40 9-20. 11	ახალი ხმოვანი ფილმი ტომ სოიერი
რ. ლიუქსემბ. 5, 7, 9, 11	ახალი ხმოვ. ფილმი ბალტიკის დეპუტატი
26 კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვ. მხატ. ფილმი უკანასკნელი ღამე
ახალი ამბები.	ესპანეთის ამბები მე-16 გამოშვ. საუცხოვო კოცონი ხმოვ. ჟურნალი № 15

დღეს, 21 აპრილს,
მრავალფეროვანი საცირკო პროგრამა და ფრანგ. პროფეს.
ჭიდაობის
მატჩების მე-52 დღე
ჭიდაობს 3 წყვილი
1—ზაგორუიკო—პუგაჩოვი
2—გადამწყვეტი შეხვედრა —რევანში ვ. ბურეევი— ჟ. მუსტაფა
3—მაჩაბელი—კარელინი
წარმოდგ. დასაწყ. 8 ს. 30 წ.
ჭიდაობისა—10 ს. 30 წ.
სახცირკი
ტელ. 3-11-44
24 აპრილს წარმოდგენა დღისით განახლებული პროგრამით დასაწყ. 2 ს.

სახ. სტომატოლოგიური ინსტიტუტის მიერ
გახსნილია გადასამზადებელი კ უ რ ს ე ბ ი
სდგება ახალი ჯგუფები, კრასნოგორის, 10. კალინინის 7, მე-103 სკ. შენობა. საღამოს 6—10 საათ.
16895

ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტი
გამოფენისათვის, რომელიც იმართება ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად
იძენს ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფებს, სურათებს, მის ნაქონ ნივთებს, აგრეთვე ძველ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, ხელნაწერებს, სურათებს და ყოველგვარ სამუზეუმო მასალებს.
გამოფენის მისამართი: რუსთაველის პროსპექტი, № 1, საქართველოს მუზეუმი, სართული პირველი (პუშკინის ყოფილი გამოფენის დარბაზი).
მასალების მოწოდება და პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე დილის 11 საათიდან დღის 4 საათამდე, საღამოს 7 საათიდან 11 საათამდე. მიმართეთ ხარა ბარნაველს და თამარ თუროშიძეს.
1053 3-3

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამ დივნისი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო—3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, ღამის რედაქტორის—3—26—67, გ ამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის —3—27—04. ხელნაწერ ები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული 8—8567